პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 16 მაისი, პარასკევი
№ 20 (2197)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ



ქაღალდის დამამზადებელი საამქრო

„კარგ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ინგურის ცელულოიდ-ქაღალდის წარმოების კომბინატის მუშაკები. მათ ვალდებულება აიღეს, წარმატებით ვადაზე ადრე დაამთავრონ ხუთწლედი.

მივცეთ სამშობლოს საუკეთესო ხარისხის პროდუქცია — ამ დევიზით შრომობენ ენგურელები და ამდიდრებენ თავიანთი საწარმოს ბიოგრაფიას.

კომბინატში ერთ-ერთი მოწინავეა ქაღალდის დამამზადებელი საამქრო.

სურათზე: კომკავშირელები ნ. გუდირდავა (მარცხნივ) და ნ. შამათავა ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

ხუთწლედის რიტმი

ტაგუ მეგურიშვილი

დირექტორი

ნარკვევი

ვიცი, მკითხველი მაინცდამაინც ხალისით რომ არ ეტანება ციფრებით აჭრელებულ და გადატვირთულ ფურცლებს, ამიტომ ამ ნარკვევში შეგნებულად ვარიდებ თავს იმ უამრავ ციფრობრივ მონაცემს, რომელიც ეჭვმიუტანლად ადასტურებს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მშრომელების მიერ ბოლო შვიდ წელიწადში მოპოვებულ გამარჯვებებს, რასაც მოჰყვა ათობით საკავშირო, რესპუბლიკური და რაიონული ჯილდო. რამდენიმე ფაქტის აღნიშვნა კი აუცილებლად მიმაჩნია: 1973 წლის აპრილში მერი მდივანი ფაბრიკაში სამუშაოდ რომ მივიდა, იმ დროისათვის საწარმოს საერთო ზარალი 681 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო 1979 წელს ფაბრიკამ სახელმწიფოს გეგმის ზევით მიჰყიდა სამი მილიონ ორასი ათასი ცალი კვერცხი და ორას თერთმეტი ტონა ხორცი, რაც ფულადი გამოხატულებით უდრის ნახევარ მილიონ მანეთს.

ადამიანზე ზრუნვის საზღაური

ამ ორიოდე წლის წინათ კორესპონდენტის კითხვაზე — რა განსაკუთრებული თვისებები უნდა გააჩნდეს თქვენი თანამდებობის პირს — დირექტორსო, მერი მდივანმა უპასუხა: „ჩემი ღრმა რწმენით, დირექტორობა თანამდებობა კი არა, სპეციალობაა: პირველ რიგში დირექტორი კარგი სპეციალისტი, თავისი საქმის დიდი მოყვარული, ღრმა და საფუძვლიანი მცოდნე უნდა იყოს, რიგიანად უნდა ერკვეოდეს ეკონომიკაში და თვით იურისპრუდენციაშიც, შეეძლოს საწარმოს წაყვანა ტექნიკური პროგრესის გზით, უყვარდეს ადამიანები, როგორც პედაგოგად დაბადებულს — თავისი აღსაზრდელები, და ზრუნავდეს მათზე“.

ნარკვევის მასალისათვის რომ მივედი, მერი მდივანს მოვაგონე კორესპონდენტის კითხვაზე გაცემული პასუხი და ასეთი კითხვით მივმართე: კონკრეტულად რაში გამოიხატა თქვენი ზრუნვა მშრომელ ადამიანებზე?

— ეს კითხვა ჩვენი ფაბრიკის რომელიმე თანამშრომლისთვის რომ მიგეცათ და მისი პასუხი მოგესმინათ, აჯობებდა, მაგრამ რადგან მკითხეთ, გეტყვით, ოღონდ ვშიშობ, თავის ქება არ გამომივიდეს.

ადამიანებზე ზრუნვა ხელმძღვანელს, ჩემი აზრით, ორმა რამემ უნდა უკარნახოს: თანდაყოლილმა კაცთმოყვარეობამ და ასევე ბუნებით მომადლებულმა თუ მერე შეძენილმა პასუხისმგებლობამ. მშრომელებზე ზრუნვა ადამიანს შინაგან კმაყოფილებასაც ანიჭებს და გეგმა-ვალდებულების წისქვილზეც მძლავრად ასხამს წყალს. მე ჩემი მუშაობის პრაქტიკამ თვალნათლივ დამანახვა, რომ ადამიანთა სატკივრის გულთან მიტანა და მათთვის დახმარების გაწევა ხელს უწყობს საწარმოს წინსვლას, რადგან ამ დროს მშრომელი კაცი სიყვარულით ეკიდება საქმეს და, მოგეხსენებათ, სიყვარულით გაკეთებულ საქმეს ხარისხიცა და სიუხვეც თან სდევს... მაინც კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ზრუნვაო, მკითხეთ თქვენ. დავიწყოთ იმით, რომ თითოეული მეფრინველე დღეში ხუთიათასიდან ათიათასამდე ცალ კვერცხს იღებს. მოწინავეებს ნებას ვრთავთ მტკიცე ფასებში შეიძინონ ქათმები, მათვე გამოვუყავით საკარმიდამო მიწის ნაკვეთები დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად. 1977 წელს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეების ბავშვებისათვის ავაშენეთ ტიპიური რვაწლიანი სკოლა, რომელიც მანამდე საცხოვრებელი ბინის სამ პატარა ოთახში იყო მოთავსებული და თითოეულ მერხზე სამი ბავშვი იჯდა. თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომ იგი 1979 წლიდან საშუალო სკოლად გადაკეთდა. ამას შედეგად ის სიკეთე მოჰყვება, რომ თუ მანამდე რვაკლასდამთავრებულთა ერთი ნაწილის განთესვა ხდებოდა, ახლა ახალგაზრდას, სკოლას რომ დაამთავრებს, აქვე, ფაბრიკაში მივიღებთ სამუშაოდ, მოწინავეებს, მუყაითებს უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ლიმიტს მივცემთ. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, მარტივი ტიპის მოედანი. სკოლასთან გაიხსნა აგრეთვე მუსიკალური ათწლედი. მანამდე მუშა-მოსამსახურეებს ქალაქში დაჰყავდათ შვილები სამეცადინოდ და, ცხადია, არცთუ იშვიათად სამუშაოს აცდენდნენ. მუსიკალურ ათწლედსაც და ბაგა-ბაღსაც (იგი 1976 წელს ავაშენეთ) უფასოდ გადავეცით პიანინოები.

შარშან პირველი აგვისტოდან ბაგა-ბაღის აღსაზრდელები უფასო კვებაზე გადავიყვანეთ. მალე პატარებს უფასოდ დავურიგებთ ახალ ფორმებს, ისინი ხომ იმათი შვილები არიან, რომელთა სასიკეთო გარჯამ ასე გაუთქვა სახელი ფაბრიკას, ორასი თანამშრომელი გავათავისუფლეთ კომუნალური მომსახურების გადასახადისაგან, ავაშენეთ 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ჩვენთან ახლა ბინის პრობლემა აღარ არსებობს. გვაქვს 210 კაცისთვის განკუთვნილი კინო-დარბაზი, მედპუნქტი, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, მოგვარდა ტრანსპორტის საკითხი. რვა კილომეტრ სიგრძეზე ჩავუყარეთ მილები და ბუნებრივი გაზი გამოვიყვანეთ. გვაქვს ცენტრალური გათბობა და კეთილმოწყობილი გზა. ფაბრიკა უკვე მშობლიურ საწარმოდ მიაჩნიათ ჩვენს მუშა-მოსამსახურეებს. დირექცია რომ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობს, მათი იმედი აქვს, ვიცით არ გვიმტყუნებენ, მხარში ამოგვიდგებიან. მშრომელთა მორალურმა და მატერიალურმა წახალისებამ კიდევ ის ნაყოფი გამოიღო, რომ აღარ გვჭირდება მუშახელის ძებნა. ფაბრიკის მუშები მშობლიურ სოფლებში (ჩვენთან მეტწილად თიანეთის, დუშეთის და ონის რაიონებიდან ჩამოსულები საქმიანობენ), ნათესავმეზობლებში, მეგობრებში ჰყვებიან ჩვენი საწარმოს სიკეთეზე, შრომისა და ცხოვრების ჩინებულ პირობებზე, მაღალ გამომუშავებაზე და ფაბრიკას უამრავი ახალგაზრდობა მოაწყდა.

მაშინ და ახლა

მერი მდივანმა ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკაში რომ დაიწყო მუშაობა, ცხოვრებისგან უკვე გვარიანად იყო გამოწრთობილი, ამიტომ არ გაჭირვებია ფაბრიკაში შექმნილ რთულ ვითარებაში გარკვევა: თუ საწარმოს ირგვლივ სოკოებივით მომრავლებულ საქათმეებს, ბოსლებს, საღორეებს, საკურდღლეებს არ მოშლიდა, წარმატებაზე ფიქრი არ შეიძლებოდა. ამიტომ მან პირველყოვლისა სწორედ ამ საქათმეების, ბოსლებისა და საღორეების მოშლით დაიწყო. რის შემდეგაც მუშათა ერთმა ჯგუფმა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების მომიზეზებით ლამის მიატოვა კომბინატი. დირექტორმა მათ საყოფაცხოვრებო პირობების სასწრაფო გაუმჯობესება აღუთქვა და ყველაფერი კეთილად წარიმართა.

ახალი დირექტორისთვის ცხადზე უცხადესი გახდა, რომ უპირველესად საჭირო იყო საწარმოში მოშლილი შრომის დისციპლინის განმტკიცება. უამისოდ ნაბიჯის გადადგმასაც ვერ შეძლებდა. ფაბრიკაში მუყაითი მშრომელები სანთლით საძებარი როდი იყვნენ, ახალმა დირექტორმაც პირველ რიგში მათი მორალურ-მატერიალური წახალისებით სცადა სხვებისთვის მაგალითის მიცემა. მერი მდივანი, რომ იტყვიან, დღესა და ღამეს ასწორებდა, დილიდან გვიან ღამემდე ჯარასავით ტრიალებდა ფაბრიკაში, საწარმოს სადაც უჭირდა, იქ ჩნდებოდა, თან მშრომელთა ოჯახურ მდგომარეობას სწავლობდა. ჩქარა მეფრინველეობის ფაბრიკას აშკარად დაეტყო მოღონიერება. იმატა მუშების გამომუშავებამაც. ახალი დირექტორის მოსვლის სამი თვის თავზე საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა პირველი პრემიები მიიღეს. მათ თვალნათლივ დაინახეს: მუყაითად თუ გაირჯებოდნენ — მეტ კვერცხსა და ხორცს ჩააბარებდნენ სახელმწიფოს, ეს კი მათთვისაც ხელსაყრელი იყო. თუ პირველ წელს გამომუშავების მაქსიმუმი ასოცი მანეთი იყო, მომდევნო წელს გამრჯე მეფრინველეები თვეში ასორმოც-ასორმოცდაათ მანეთს იღებდნენ. მერი მდივანმა კარგად იცოდა, რომ მეფრინველეობაში არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი, აქ მუშაობის ჯაჭვური სისტემა მოქმედებს და ერთმა რგოლმაც რომ ვერ გაართვას საქმეს თავი, მთლიანი ციკლი ირღვევა. წარმატებას ვერც ფრინველის გამოზრდის თანამედროვე ტექნოლოგიის გარეშე მოიპოვებ. სუფთა ხაზების ჰიბრიდების მოშენება ოცი პროცენტით ზრდის პროდუქტიულობას და მუშაობაც ამ გზით წარიმართა. 1974 წლის ბოლოსათვის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მშრომელთა მიღწევები საკავშირო მასშტაბით გახდა ცნობილი. მაღალი შედეგების მოპოვებისათვის მერი მდივანი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო ამ ფაბრიკის პირველი სამრეწველო ბრიგადის ბრიგადირს ელზა თოდუას შრომითი დიდების მესამე ხარისხის ორდენი გადაეცა, თავად ბრიგადას კი სოლიდური ფულადი პრემია. ამის შემდეგ ელზა თოდუამ კიდევ ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. იგი საპატიო ნიშნის ორდენის კავალერიც გახდა. ელზას ბრიგადაში შვიდი საფრინველეა. თითოეულ საფრინველეში კი თოთხმეტიათას ხუთასი კვერცხმდებელი ქათამი ჰყავს. თითოეულ საფრინველეს თითო მუშა ემსახურება.

დღეს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკას ელზა თოდუას გარდა არა ერთი და ორი სახელოვანი მეფრინველე ჰყავს.

მუყაითობა დიახაც გახლავთ სიუხვის საწინდარი, მაგრამ გადამწყვეტ სიტყვას მაინც მოწინავე ტექნოლოგია ამბობს, უამისოდ რეკორდულ მაჩვენებელს ვერ მიაღწევ. ამიტომ დირექტორმა ფაბრიკაში ძირეულად შეცვალა ფრინველის გამოზრდის ტექნოლოგიური პროცესები... დანერგა ყველაზე მოწინავე ტექნოლოგია... თითქმის ავტომატიზებულია ყველაფერი, ამას კი უაღრესად სასიკეთო შედეგი მოჰყვა.

მერი მდივნისათვის, როგორც ყველა კარგი ხელმძღვანელისთვის უმთავრესია კადრების სწორი შერჩევა და აღზრდა.

თემურ აბულაძე 1974 წელს მოვიდა საწარმოში ზოოტექნიკოსის დიპლომით და ბრიგადირად დაიწყო მუშაობა. თემურს მუშაობაში მიღწევებიც ჰქონდა და ჩავარდნებსაც, ბოლოს, დირექტორის ხელის შეწყობით და გულისხმიერი რჩევა-დარიგებით, ჩინებული სპეციალისტი დადგა. ახლა იგი კარგად ართმევს თავს დირექტორის მოადგილის თანამდებობას. ამ ხუთასკაციან კოლექტივში ყველას და ყველაფერს დირექტორი ვერ მიადევნებს თვალს, ამიტომ თემური ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავს, რათა გაამართლოს მოპოვებული დიდი ნდობა.



დირექტორის კაბინეტში

დირექტორს იშვიათად ნახავს კაცი კაბინეტში. ის ან საფრინველეში ფუსფუსებს ან რაიონულ, რესპუბლიკურსა თუ საკავშირო ღონისძიებებში მონაწილეობს. მერიმ, დირექტორად დანიშნეს თუ არა, მისაღები ოთახი მოშალა, მუშა-მოსამსახურეები მისაღებში არ უნდა აყურყუტო, მაშინვე უნდა მიიღო და გაიგო, რა აწუხებთ.

ახლა, დირექტორს კაბინეტში ვესაუბრები, მაგრამ ვინ გაცლის საუბარს, ათასი მთხოვნელი მოდის — ვინ პირად და ვინ საზოგადოებრივ საქმეზე. მერი მდივანი ყველას ღიმილით ხვდება, ყველას სათხოვარი გულთან მიაქვს.

აგერ შუახნის სამდომიანმა ქალმა, ფაბრიკის მუშამ მორიდებით შემოაღო კარი, ასევე მორიდებით მიმართა: ქალიშვილი გავათხოვე და ქათმები მტკიცე ფასებში რომ შევიძინო, დამეხმარეთო. როდის გაქვთ ქორწილიო და, შაბათსო. მერედა, შე კაი ქალო, მანამდე სამი დღეა, ახლა რომ გაგატანო, გაგიფუჭდება, წინა დღით მოდი და გაგატანო. ახლა ორი მხარბეჭიანი, ოდნავ შეჭაღარავებული კაცი შემოვიდა. ისინი სიცილს ძლივს იკავებდნენ, მერე, როგორც იქნა, გაუბედეს დირექტორს: ამ ერთხელაც [illegible]ვიმართე ხელი, ნუ ჩაგვაგდებთ [illegible]აკაცების ყბაში, ვერაფერი ვინადირეთ და იქნებ ოცი მწყერი მოგვყიდოთო...

ახლადგამოჩეკილი წიწილების საყიდლად მარტყოფიდან მოსული ქალებიც გახარებულები გავიდნენ კაბინეტიდან. მერე საიდანღაც დარეკეს, მოწინავეთა შეკრებაა და თქვენი დასწრება სავალდებულოაო. დღე ისე მიიწურა ვერა და ვერ შევძელი დირექტორისათვის წინასწარ მოფიქრებული კითხვების მიცემა.

მომავლის პერსპექტივა

ნორიოს თბილი, მზიანი დღეა. საამქროებს ვათვალიერებთ. ცხელა, აქ მუდამ ცხელა, რადგან საამქროებში ტემპერატურა წლის ნებისმიერ დროს ერთიდაიგივე უნდა იყოს. მნახველს პირველ რიგში სისუფთავე მოხვდება თვალში, სისუფთავე და წესრიგი. ფაბრიკაში საამქროების უმრავლესობა ორიარუსიანი და მექანიზებულია. ამიტომაცაა, რომ თითოეულ საამქროზე მხოლოდ ერთი ადამიანია გაპიროვნებული. დირექტორი იმედის თვალით შესცქერის საწარმოს მომავალს. 1981 წელს ფაბრიკის წარმადობა ერთიორად გაიზრდება. მაგრამ მუშახელის რაოდენობა არ გაორმაგდება, მხოლოდ ოცი კაცით გაიზრდება. ფაბრიკას უახლესი ტექნიკით აღჭურვილი რამდენიმე ახალი საფრინველე შეემატება, სადაც თითოეულ მეფრინველეს ოცდათექვსმეტიათას ხუთასი კვერცხმდებელი დედლის მომსახურება შეეძლება. 1981 წელს ფაბრიკა ორმოც მილიონ ცალ კვერცხს მიჰყიდის სახელმწიფოს, ხორცის წარმოება ათას ორას ტონამდე გაიზრდება.

ვტოვებდი ფაბრიკას და ვფიქრობდი მერი მდივანზე, ადამიანზე, რომელიც მეორედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩამორჩენილი საწარმო მთელს კავშირში ერთ-ერთი მოწინავე და სახელმოხვეჭილი გახდა.

მწერლები—საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები

როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღეებში, მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურების გამო, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“, საერთაშორისო ლენინური პრემიები თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად მიენიჭათ მწერლებს:

მიგელ ოტერო-სილვას — ვენესუელელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს;

ერვე ბაზენს — ფრანგ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს;

აბდურაჰმან ალ-ხამისის — არაბეთის რესპუბლიკის (ეგვიპტე) მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტები შეხვდნენ ერვე ბაზენს პარიზში და მიგელ ოტერო-სილვას ვენესუელაში.

მწერლებმა დიდი მადლობა და სიხარული გამოთქვეს ამ ყველაზე საპატიო პრემიის მინიჭების გამო, პრემიისა, რომელიც ატარებს კაცობრიობის უდიდესი რევოლუციონერისა და მოაზროვნის — ლენინის სახელს.

ერვე ბაზენმა, რომელიც ოცდაათ წელიწადზე მეტია მშვიდობისათვის ბრძოლაში მონაწილეობს, თქვა, რომ თუმცა მისი ბევრი რომანი თანამედროვე ოჯახის პრობლემებს ეძღვნება, მაგრამ მათ აქვთ სავსებით მკაფიო სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი და ამა თუ იმ სახით დაკავშირებული არიან მშვიდობის შენარჩუნების პრობლემასთან; ადამიანის კეთილდღეობა ხომ პირდაპირ დამოკიდებულია დაძაბულობის შენელებაზე, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დაცვაზე.

შეკითხვაზე, როგორ წარმოგიდგენიათ თანამედროვე საზოგადოებაში მწერლის პოზიცია და ამოცანებიო, ერვე ბაზენმა უპასუხა, რომ მწერალი არ უნდა დარჩეს გულგრილი იმისადმი, რაც მის ირგვლივაა. მან კრიტიკულად უნდა შეაფასოს ის, რაც არ მოსწონს საზოგადოებაში, უნდა გაამათრახოს ისეთი მანკიერებანი, როგორიცაა უსამართლობა, უთანასწორობა, სიმდაბლე და სიმუხთლე.

ერვე ბაზენი მხარს უჭერს ფართო საერთაშორისო კონტაქტებს კულტურის დარგში: „თუ არ იცი, რა ხდება სხვა ქვეყნებში, თუ უარს ამბობ შეხვედრა-საუბრებზე და არ გაინტერესებს სხვა ხალხების კულტურა, მაშინ როგორ შეგიძლია შეაფასო, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ქვეყნიერება და მოვლენები, მასში რომ ხდება? კულტურული ურთიერთობა — საფუძველია ურთიერთგაგებისა და, მაშასადამე, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საფუძველიცაა, — თქვა მან დასასრულს.

მიგელ ოტერო-სილვამ განაცხადა, რომ ამ დიადი ჯილდოთი აღინიშნა მისი ხალხის, ლათინური ამერიკის ხალხების ბრძოლა მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. მან ილაპარაკა იმაზე, რომ მწერალმა მთელი თავისი ნიჭი უნდა მოახმაროს ისეთი ნაწარმოებების შექმნას, სადაც ამხილებს უსამართლობას და ქებას შეასხამს მის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ ადამიანებს. ნამდვილი მწერალი მოვალეა ებრძოდეს კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის. მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი შემოქმედება პროგრესს უნდა ემსახურებოდეს.

მან აღტაცება და მადლობა გამოთქვა საბჭოთა ქვეყნის მიმართ, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ვინაიდან ახალი ომის საშინელებანი საფრთხეს შეუქმნიდა აგრეთვე მისი ქვეყნის არსებობას, მისი შვილების სიცოცხლეს, მის მწერლურ შრომას. დასასრულ თავის საბჭოელ მკითხველებსა და მეგობრებს უსურვებს მშვიდობას, რაც ასე აუცილებელია, რათა ქვეყნად შეიქმნას ახალი საზოგადოება, დაფუძნებული ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობაზე, მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებზე.

გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავისათვის



გამოჩენილი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის საიუბილეოდ 19 მაისს, დღის 1 საათზე, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პოეტის საფლავს შეამკობენ ყვავილებით.

იმავე დღეს, 2 საათზე ქართული ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნება პოეტისადმი მიძღვნილი გამოფენა.

19 მაისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო.

20 მაისს, 12 საათზე, პატარძეულში დანიშნულია გიორგი ლეონიძის იუბილესადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

ველაშვილს მარი ვლადიმერის ასულს — მსახიობს, ნაცვლიშვილს გრიგოლ ალექსანდრეს ძეს — მსახიობს, ღვინიაშვილს თინათინ ლევანის ასულს — მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

ბერძენს გივი შალვას ძეს — მსახიობს, ვაშაკიძეს ლამარა ნიკოლოზის ასულს — მსახიობს, დვალიშვილს დავით ალექსანდრეს ძეს — მსახიობს, კოკელაძეს გუდარ ბარნაბის ძეს — მსახიობს, ოყრეშიძეს ვაჟა სპირიდონის ძეს — მსახიობს, სიხარულიძეს იაკობ სიმონის ძეს — მსახიობს, ცირამუას ზურაბ სტეფანეს ძეს — მსახიობს, ხერხაძეს ანზორ მელიტონის ძეს — მსახიობს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:

ბეთანელს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს — დირექტორ-განმკარგულებელს, ზონენაშვილს აბრამ მიხეილის ძეს — რეჟისორის თანაშემწეს, სვანიძეს შალვა მაქსიმეს ძეს — მთავარ ადმინისტრატორს.

ქართული კულტურის ისტორიიდან

მაღალმნიშვნელოვანი საზოგადოება

სოლომონ ხუციშვილი

„ამისთანა მაღალ-მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერ არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს ერის განათლება, იგი ემსახურება საერთოდ მთელ ქართველობას, მის სარბიელს შეადგენს მთელი საქართველო“, — წერდა იაკობ გოგებაშვილი 1884 წელს, როცა იგი ახასიათებდა 5 წლის წინათ დაარსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებას.

მართლაც, XIX საუკუნეში იმისი მსგავსი ორგანიზაცია, როგორიც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ჩვენში არ შექმნილა. ამ საზოგადოების მიზანი იყო ქართველი ხალხის სულიერი აღორძინება, განათლება და განვითარება. ამ საზოგადოების მეთაურნი მის მნიშვნელობას გლეხთა გათავისუფლებას უტოლებდნენ: რეფორმამ გლეხობა გაათავისუფლა ბატონყმობისაგან, საზოგადოებამ კი იგი უნდა გაათავისუფლოს ჩამორჩენილობისა, უსწავლელობისა და ცრურწმენათაგანო. ამ მაღალი მიზნის მისაღწევად დაირაზმა XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართველი მოწინავე თაობა, მთელი ინტელიგენცია.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო შედეგი 60-იან წლებში დაწყებული დიდი საზოგადოებრივი მოძრაობისა. მისი ორგანიზატორები იყვნენ ისინი, რომელთაც „სამოციანელები“ ეწოდებოდათ და რომელნიც სათავეში ჩაუდგნენ ახალ საქართველოს, განახლებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ახალი იდეოლოგია და ესთეტიკა შემოიტანეს ჩვენს მწერლობაში, ლიტერატურაში, საზოგადოებაში.

ანტონ ფურცელაძე თავის რუსულად დაწერილ მოგონებებში გადმოგვცემს, რომ იდეა სახალხო სკოლების შექმნისა ჩაისახა იმ წრეში, რომელიც „სალდათის ბაზარზე“, მის ბინაში იკრიბებოდა, სხვადასხვა ლიტერატურას კითხულობდა და ხალხის გათავისუფლებასა და განვითარებაზე ოცნებობდა. ჩვენი წრის მეცადინეობას რამდენჯერმე დიმიტრი ყიფიანიც დაესწრო, ახალგაზრდებს გვესაუბრა და დაგვარიგაო, წერდა იგი. ამ წრეში გადაწყდა გაეხსნათ სკოლა, რომლის გამართვა იკისრა იოსებ მამაცაშვილის სიძემ გიორგი ჯავახიშვილმა თავის სოფელ ხოვლეში; მართლაც დაარსდა სკოლა, რომელსაც „სალდათის ბაზრის“ წრის წევრები კაპიკობით შეკრებილი თანხით ამარაგებდნენ და სადაც სოფლელ ბავშვებს ასწავლიდა მარიამ მამაცაშვილი-ჯავახიშვილისა. მაგრამ ამ კერძო სკოლამ დიდხანს ვერ იარსება. სოფლის ბავშვები წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ, რაც, ცხადია, ვერ დაიფარებოდა, სკოლის ორგანიზატორებს აღარ მისცეს უფლება შემდეგი კლასების გახსნისა. სკოლა დაიკეტა, მაგრამ იმ ენთუზიასტებს მაინც ამოქმედებდა ხალხის განათლების იდეა. ან. ფურცელაძისავე გადმოცემით, მთელი 1877 წლის განმავლობაში დიმიტრი ყიფიანის ბინაზე იკრიბებოდნენ ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ თულაშვილი და ამუშავებდნენ წესდების პროექტს; 1878 წლის დასაწყისისათვის პროექტი უკვე შეუდგენიათ, ხოლო იაკობ გოგებაშვილის დაჟინებითი მოთხოვნით მესამე პარაგრაფად შეუტანიათ შემდეგი: „საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზე, რომელიც ესმით მოსწავლეებს და ცდილობს რუსული ენისათვისაც, რომ კარგად ისწავლებოდეს“. ეს იყო ცნობილი „მესამე პარაგრაფი“, რომელიც მთავრობის კაცებში დიდ აღშფოთებას იწვევდა და რის გამოც წესდების პროექტმა რამდენადმე ცვლილება განიცადა. საზოგადოებას უნდა რქმეოდა: „ტფილისის წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ქართველებ შუა სადაც მოსახლეობენ კავკასიის სანამესტნიკოში“.

დიმიტრი ყიფიანი არ ეთანხმებოდა ი. გოგებაშვილს ამ პარაგრაფის ფორმულირებაში იმ მოსაზრებით, რომ არ დაგვიმტკიცებენო, მაგრამ ი. გოგებაშვილს არ დაუთმია. თუ ასე არ იქნება, არავითარი აზრი ჩვენს მუშაობას არ ექნებაო. მტკიცედ განუცხადებია მას.

მთავარმართებლის სათანადო კანცელარიამ მართლაც უკან დააბრუნა წესდების პროექტი. სწორედ მაშინ ჩაება მუშაობაში ილია ჭავჭავაძე, რომლის ქვისლიც, დიმიტრი სტაროსელსკი, კავკასიის მთავარსამმართველოში მსახურობდა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მთავრობაში პროექტის უკანასკნელად წარდგენისას მთავარმართებელი თბილისში არ ყოფილა, ხოლო მისმა შემცვლელმა სვიატოპოლკ-მირსკიმ წესდების პროექტი დაამტკიცა. ქართველ საზოგადოებას ხელთ ჰქონდა ოფიციალური საბუთი, რომელშიც მესამე პარაგრაფი გოგებაშვილისეული რედაქციით იყო შეტანილი.

წესდება დამტკიცდა 1879 წლის 31 მარტს, ხოლო 15 მაისს გაიმართა პირველი ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ეპისკოპოსი, დავით ერისთავი, ვახტანგ თულაშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვანი, აგრეთვე საზოგადოების წევრობის მსურველნი.

გრ. ორბელიანის წინადადებით საზოგადოებას დაარქვეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, მასვე სთხოვეს თავმჯდომარეობა, მაგრამ მან თქვა: „დიდათა ვწუხვარ, ჭეშმარიტად, რომ უარი უნდა განგიცხადოთ. ეს საქმე ისეთი დიდი და მძიმე საქმეა, რომ საზოგადოების თავმჯდომარეცა და მისი მმართველობაც განუწყვეტელ შრომაში უნდა იყვნენ, რომ ეს ღვთიური საქმე კეთილად წარიმართოს. მე ყოველთვის მზად ვარ, რითაც კი შემიძლია საზოგადოებას ვემსახურო, მაგრამ ეს ჯაფა რომ ვიკისრო, არც სიმრთელე მაძლევს ნებას და არც თვითონ საქმის გამოცდილება მაქვს საკმარისი. ამ მიზეზებით გთხოვთ მე განმათავისუფლოთ და თავმჯდომარეობა ისევ იმას ვთხოვოთ, ვინც თავიდანვე ამ საქმეს ადგია“. გრ. ორბელიანმა დიმიტრი ყიფიანი დაასახელა, ყრილობამ იგი ერთხმად აირჩია საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარედ. მოადგილედ ანუ ამხანაგად — ილია ჭავჭავაძე, მდივნად — ალექსანდრე სარაჯიშვილი, ხაზინადრად — რაფიელ ერისთავი, გამგეობის წევრებად: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ვახტანგ თულაშვილი და ივანე მაჩაბელი.

წესდების მიხედვით თავმჯდომარე სამი წლით ირჩეოდა.

საზოგადოების საარსებო საშუალებები იყო საწევრო გადასახადი, დამფუძნებელთაგან შეტანილი თანხა და შეწირულებანი. თბილისის საადგილმამულო ბანკმა, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე იყო, დასაწყისისათვის თერთმეტი ათასი მანეთი შესწირა ახალ წამოწყებას. ამდენივე თანხა საზოგადოებამ ქუთაისის ბანკისაგანაც მიიღო. შემდეგში ბევრმა ქართველმა მოქალაქემ და მშობლიური ერის გულშემატკივარმა გამოიღო დიდი თუ მცირე თანხა. გიორგი ქართველიშვილმა, ილია ოქრომჭედლიშვილმა, ბესარიონ ღოღობერიძემ, დავით სარაჯიშვილმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა და ბევრმა სხვამ არ დაიშურეს მნიშვნელოვანი დახმარება საზოგადოებისათვის; მოსახლეობის სხვადასხვა ფენა, მუშები, ინტელიგენტები და მოსამსახურენი, თვით დიასახლისებიც კი, გადარჩენილ და გადანახულ გროშებს სიამოვნებით იმეტებდნენ სახალხო საქმისათვის. ამ მხრივ საზოგადოების არქივსა და ქართულ პრესაში მრავალ გულის ამაჩუყებელ ცნობას ვხვდებით. საზოგადოების სასარგებლოდ იმართებოდა საღამო-წარმოდგენები ქალაქად და სოფლად, სახალხო კითხვის საღამოები, ლატარია-ალეგროები, ფული იკრიბებოდა ყულაბებით, საზოგადოებას სწირავდნენ სხვადასხვა ნივთს: მოვერცხლილ ყანწებს, აბრეშუმის ყელსახვევებს, შეკერილ ტანსაცმელს, ბალიშებსა და მუთაქებს, ხელსაქმის ნიმუშებს და სხვ.; ეს ნივთები იყიდებოდა აუქციონით, თამაშდებოდა ლატარიით, იმართებოდა ფასიანი სეირნობანი მუსიკით და ვახშმებით...

და ყველაფერი დანიშნული იყო დიდი ეროვნული საქმისათვის, სახალხო სკოლების დაარსების, მათთვის შენობების აგების, მასწავლებელთა მომზადების, მოსწავლეთათვის სასწავლო ავეჯისა და ნივთების შეძენისათვის.

სახელმწიფოს არც ერთი გროში არ მიუცია საზოგადოებისათვის. პირიქით, მაშინდელი მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი და საქართველოს ეგზარქოსი პავლე ლებედევი ყოველთვის კრიჭაში ედგნენ საზოგადოებას, ავიწროებდნენ მას, ემუქრებოდნენ... მიუხედავად ამისა, საზოგადოებამ საქართველოს გულში და განაპირა კუთხეებში, განსაკუთრებით აჭარა-ქობულეთში, ბორჩალოს მაზრაში და სხვაგან გახსნა სახალხო სკოლები, სადაც ქართულად ასწავლიდნენ. ნიკო ცხვედაძე საზოგადოებას მოახსენებდა: „მას (საზოგადოებას. — ს. ხ.) შემოსცქერიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სიღარიბით შევიწროებული სასწავლებლები და თავიანთი დღეგრძელობისათვის მოელიან შეწევნას... აჭარლების და ქობულეთლების გულისტკივილზე რაღა ვთქვათ! ისინი ხომ დიდად იმედოვნებენ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება პირველად თავის მოქმედებას დაიწყებს აჭარლების და ქობულეთლებისათვის თუ რამდენიმე ადგილს არა, ბათუმში მაინც სკოლით... ამით ნათლად დაანახვებს მათ, თუ რამდენად მთელს ჩვენს საზოგადოებას შესტკივა მათთვის გული...“

აჭარა განსაკუთრებით მოითხოვდა დახმარებას კი არა, შველას, რადგან იგი სულ ახალი შემოერთებული იყო დედასამშობლოსთან.

ბათუმში გაიხსნა ქართული სკოლა, რომელშიც აჭარელი ქართველი ბავშვები ქართული საანბანო წიგნებით ეწაფებოდნენ დავიწყებულ მშობლიურ ენას, შემდეგ ეს ცოდნა შინ მიჰქონდათ და ამრიგად საფუძვლები ეყრებოდა საუკუნეობით ნანატრ სურვილს — აჭარა სამშობლოს უბრუნდებოდა!

ბათუმის სკოლის გახსნას ილია ჭავჭავაძე დაესწრო.

საზოგადოება ხსნიდა სკოლებს, აგებდა შენობებს, ნიშნავდა მასწავლებლებს, მოწაფეებს უგზავნიდა სახელმძღვანელოებს, საკლასო ნივთებს. საზოგადოება არა მხოლოდ თავის სკოლებს, ბევრ სამრევლო სკოლასა და პირველდაწყებით სახელმწიფო სასწავლებლებსაც ეხმარებოდა. ამისი საბუთებიც საკმაოდ უხვადაა საზოგადოების არქივში.

საზოგადოებამ სკოლები გახსნა ბაქოში, კავკავში (ის სკოლა ახლაც განაგრძობს მოქმედებას), ალაგირში, არმავირში, კახში, მოზდოკში, ნალჩიკში, ხოლო საქართველოში მის მიერ გახსნილმა სკოლებმა სამ ათეულს მალე გადააჭარბა.

საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია წიგნის ბეჭდვის საქმეს. ამ დარგშიც გამოიჩინა ქართულმა ინტელიგენციამ თაოსნობა. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, ორიგინალური თუ თარგმნილი წიგნები სკოლებისათვის, მხატვრული ლიტერატურა და სხვა მრავალი იბეჭდებოდა საზოგადოების საფასით და ამ ლიტერატურის დიდი ნაწილი უსასყიდლოდ ეგზავნებოდა სკოლებს, საზოგადოების ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, უცხოეთის უნივერსიტეტებს, იქაურ მეცნიერთ, რომელნიც ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას სწავლობდნენ.

საზოგადოებამ გამოსცა ქართველ მწერალთა: რაფიელ ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნიკო ლომოურის, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის, დანიელ ჭონქაძის, გიორგი ქუჩიშვილის და სხვა თხზულებები.

საზოგადოება არ შემოზღუდულა მხოლოდ სახალხო სკოლების გახსნით. იგი, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ქართულ ეროვნულ თავშესაფრად“ იქცა. მან შეკრიბა ძველი ქართული ხელნაწერების იშვიათი ფონდი, რომელიც ძირითადად შემოწირულებებით იზრდებოდა. ცნობილია ნიკო დადიანის დიდად პატრიოტული და მისგანვე განხორციელებული აზრი — დადიანების მდიდარი ხელნაწერთა კოლექციის გადაცემა საზოგადოებისათვის. ხელნაწერებთან ერთად საზოგადოების ბიბლიოთეკაში თავი მოუყარეს ქართულ ნაბეჭდ წიგნებს, დაგროვდა იმდენი წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, ხელოვნებისა და ისტორიის იმდენი ექსპონატი, რომ მალე საზოგადოების წინაშე დადგა საკითხი მუზეუმის დაარსებისა.

საზოგადოება ზრუნავდა ქართული არქიტექტურული ძეგლების გადარჩენა-რესტავრაციისათვის, აწყობდა საგანგებო ექსპედიციებს მათ შესასწავლად და დასაცავად. მრავალი საეკლესიო ნივთი, ჭედურობა და სხვა გადაეცა მუზეუმს, რითაც ავი ხელყოფისაგან ბევრი რამ გადარჩა.

საზოგადოებამ დიდი ენერგია დახარჯა ქართული ზეპირსიტყვიერების შესაკრებად. ი. გოგებაშვილმა და პ. უმიკაშვილმა საგანგებო ინსტრუქცია შეადგინეს ფოლკლორული მასალის შეკრებისათვის. ეს ინსტრუქცია არაფრით არ ჩამოუვარდება მეცნიერულ ფოლკლორისტიკაში შემუშავებულ მასალათა ჩაწერის პრინციპებს. საზოგადოებამ საგანგებო ექსპედიციები მოაწყო ქართული სიმღერებისა და გალობის ჩასაწერად. ია კარგარეთელი, ზაქარია ჩხიკვაძე, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი და სხვანი აგროვებდნენ ამერ-იმერულ სასიმღერო ხმებს, გადაჰქონდათ ნოტებზე და აქვეყნებდნენ.

საზოგადოების თაოსნობით გადმოასვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი თბილისში; მისი აქტიური მონაწილეობით გადაიხადა ქართველმა ხალხმა დიდი საიუბილეო ზეიმი რაფიელ ერისთავისა; მანვე გამართა სახალხო დღესასწაული — აკაკი წერეთლის იუბილე 1908 წელს, აგრეთვე იუბილეები ვასო აბაშიძისა, ვასილ ბარნოვისა, ეკატერინე გაბაშვილისა და სხვათა; საზოგადოებამ ჩაატარა პუშკინისა და გოგოლის იუბილეები მათი დაბადების ასი წლისთავზე. ის მშვენიერი შენობაც, რომელშიც ქართულმა უნივერსიტეტმა დაიდო ბინა 1918 წლის 26 იანვრიდან, ამ მადლიანი საზოგადოებისაგან არის აგებული.

საკმარისია თვალი გადავავლოთ საზოგადოების არქივს, რომელიც რამდენიმე ათას ფურცელს ითვლის (ვგლახ, რომ იგი გამოცემული არა გვაქვს!), რომ წარმოვიდგინოთ ის უზარმაზარი ღვაწლი, რომელიც მან გასწია თავისი სახელოვანი არსებობით.

დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარედ იყო ივანე მუხრან-ბატონი, ხოლო 1885 წლიდან, შვიდგზისი არჩევნებით, ეს ადგილი ეჭირა ილია ჭავჭავაძეს ვიდრე 1907 წლის სექტემბრამდე. შემდეგ მას განაგებდა გიორგი ყაზბეგი, ბოლოს კი დავით კარიჭაშვილი.

საზოგადოებამ თავისი არსებობა შეწყვიტა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მისი ფუნქციები განათლების კომისარიატმა და სხვადასხვა დაწესებულებამ გაინაწილეს.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მართლაც მაღალმნიშვნელოვანი დაწესებულება იყო, მან თავისი ღვაწლით გაამართლა ის სახელი, რომელიც შეარქვეს მისი არსებობის 25 წლისთავზე — ქართველთა ეროვნული თავშესაფარი.

ჩვენი მილოცვა

მოსე გვასალია-70



ცნობილ მწერალს მოსე გვასალიას დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ და აფხაზეთის მწერალთა კავშირმა იუბილარს გაუგზავნეს მისალმება. მისალმებებში ნათქვამია:

ძვირფასო მოსე!

თქვენი მეგობარი ქართველი და აფხაზი მწერლები გულითადად მოგესალმებიან და მოგილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი სადებიუტო რომანი „სურამი“, რომელიც ოცდაათიან წლებში დაიბეჭდა, ერთ-ერთი ვრცელი ტილო იყო ქართულ მწერლობაში სოციალისტური ინდუსტრიის თემატიკაზე.

თქვენ იყავით აქტიური წევრი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტთან“ არსებული ახალგაზრდა მწერლების იმ სახელოვანი რაზმისა, რომელიც ქმნიდა ახალ ქართულ პროზას. ამიტომაც გაუძლო თქვენმა „სურამმა“ დროის გამოცდას. აღნიშნული რომანი სამი ათეული წლის შემდეგ ხელახლა გამოიცა, ითარგმნა აგრეთვე რუსულ ენაზე. რუსულადვე ითარგმნა და გამოიცა თქვენი მეორე რომანი „ობლის კვერი“.

ამ წიგნების გარდა მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენ მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს — „არჩევნების ბილიკზე“, „მოთხრობები“, „ძმები“, „თარჩია“, „ენგურის ჭალებში“, „ახალმოსახლე“, „ქალიშვილის დღიურიდან“.

ცხოვრობთ და მოღვაწეობთ რა აფხაზეთში, თქვენი მოთხრობებისა და ნარკვევების ერთ-ერთი მთავარი თემა აფხაზი მშრომელი ხალხის ცხოვრება გახდა.

თქვენ, როგორც პრ[illegible] ადამიანი და გულითადი [illegible]რი, დიდ ძალას ახმართ ლიტერატურის ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისა და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ღირსეულად დაჯილდოვდით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ძვირფასო მოსე! გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს შემოქმედების დიდ გზაზე!

* * *

მწერალ მოსე გვასალიას დაბადების 70 წლისთავს ულოცავენ და ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას უსურვებენ სსრკ მწერალთა კავშირის სამდივნო და ქართული ლიტერატურის საბჭო.

მოუსვენარი და დაუქანცავი

ოცდაათიანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრება მღელვარე ამბებითაა აღსავსე. შორს წაგვიყვანდა ისტორიული ფაქტების ჩამოთვლა.

ამ წლების ბიოგრაფიას ემატება ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტიც: გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომლის პირველი წევრებიდან მრავალი სახელმოხვეჭილი ადამიანი გამოვიდა: გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, გ. ჯიბლაძე, გ. ნატროშვილი, ა. გომიაშვილი, გ. შატბერაშვილი, დ. ბენაშვილი, კ. ჩარკვიანი, მ. ჩიქოვანი და სხვ. წრე უშვებდა ლიტერატურულ გვერდებს, სათაურით „კომკავშირული მწერლობა“. სწორედ ამ წრეში აიდგა ფეხი მოსე გვასალიამ და პირველი გამარჯვება იმით იზეიმა, რომ მისი ორი მოთხრობა შეტანილ იქნა მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოში, ხოლო ოცდაერთი წლის ჭაბუკმა გამოაქვეყნა რომანი „სურამი“. მწერლის პირველ ნაბიჯებს პრესაში გამოეხმაურნენ მიხეილ ჯავახიშვილი და ლეო ქიაჩელი. აი, ასეთი ბედნიერი გამოდგა გვასალიას დებიუტი.

რომანი „სურამი“ თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ ხელახლა გამოიცა, ამასთან ითარგმნა რუსულ და ესტონურ ენებზე. რუსულად ითარგმნა მისი მეორე რომანიც „ობლის კვერი“.

მოსე გვასალიას შემოქმედებას მუდამ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები ასაზრდოებდა. ახლახან ცალკე წიგნად გამოიცა მისი მხატვრული ნარკვევები, ხოლო ამ დღეებში გამოვა რომანი „არამხუტუ“, მიძღვნილი ჩვენი დროის უნიკალური მშენებლობის — ენგურჰესის ადამიანებისადმი.

ისე, როგორც სადებიუტო რომანი „სურამი“, ეს ახალი წიგნიც ფაქტობრივი მასალების ღრმა ცოდნას ემყარება და წარმოადგენს მხატვრული განზოგადებისა და დოკუმენტური სიზუსტის სინთეზს.

მოუსვენარი და დაუქანცავი! — აი, ამ სიტყვებით შეიძლება მოვხაზოთ მოსე გვასალიას პორტრეტი და ეს იქნება ორი — ყველაზე მართალი შტრიხი. ამიტომაც შეხვდა იგი თავისი ცხოვრების სამოცდაათი წლისთავს ასე ხელმხვავიანი.

შოთა აკობია

პუბლიცისტიკა

ვინ არის ჩვენს გვერდით?

რევაზ მიშველაძე

საქართველო კარგა ხანია ჩაება მსოფლიო ცხოვრების ფერხულში. იგი უკვე აღარ არის პატარა ეგზოტიკური კუნძული ორი კონტინენტის საზღვარზე. ტურისტებისთვის „აღმოსაჩენი“ სოფელი საქართველოში უკვე აღარ დარჩა. ათასობით სტუმარი თელავს დღეს „კავკასიის მარგალიტის“ გზებსა და ბილიკებს. თვით ქართველმაც კარგა ხანია თამამად გაიბიჯა მსოფლიოს გზებზე...

ქართველი კაცი ყოველთვის ცდილობდა მისი დროის მსოფლიო ცივილიზაციისთვის ფეხი აეწყო, უცხოურ ტალავარსაც ლაზათიანად მოირგებდა ბეჭებზე, არც პროვინციული დაჟინებულობით ეჩრებოდა თვალში ვისმეს, მაგრამ რაკი ჩვენ არასოდეს გვიცხოვრია ცივილიზაციის გამჭოლ ქართა ამგვარ ღია კარებში, ბუნებრივია, რომ უკანასკნელმა საუკუნემ ბევრი რამ ახლებურად დაგვანახვა. საუკუნეების განმავლობაში კეთილი ნების ხალხთა უანგარო ცხოვრებით გვიცხოვრია და ჩვენი ეროვნული თვისებები — მამულისადმი დამოკიდებულება, სტუმარ-მასპინძლობის წესი, ოჯახისადმი დამოკიდებულების ანი და ჰაე, ქალის პატივისცემა, ძმადნაფიცობა, მეგობრობა, საქორწილო რიტუალი და ბევრი სხვა რამ დროთა განმავლობაში კი არ ბერდება, მეტ ფასს იძენს და აღტაცებისა და მიბაძვის სხივად ინთება მსოფლიოს ცივილიზებული მოქალაქის თვალში.

ქართველი კაცის ეროვნულ სიამაყეს ათასი მიზეზი მოეპოვება. ამ მიზეზთა ერთი ნაწილი დღეს სტატიკურ რელიქვიად ქცეულა (სვეტიცხოველი, ოპიზართა ნახელავი...), მეორე ნაწილი მხატვრული სიტყვის უკვდავ გვირგვინადაა შეკრული. მხედველობაში მაქვს „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა უკვდავი ლიტერატურული ქმნილებანი. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი უპირველესი თავმოსაწონებელი ლიტერატურაა, ჩვენი ფოლკლორი, ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მწერლობა. ჩვენი ეროვნული პასპორტი „ვეფხისტყაოსანია“ და ადვილი წარმოსადგენია, რა წელგამართული ივლის ყველა ეპოქის ისტორიულ გზატკეცილებზე ის ერი, რომელმაც შოთა რუსთაველი მისცა მსოფლიოს. ეს ფაქტი, გარდა სიამაყისა, პასუხისმგებლობასაც დიდს ნიშნავს. „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დღეს: დღეს რანი ხართ, რას წარმოადგენთ?“ ბოდიშმოუხდელად რომ გკითხოს მსოფლიომ, რომელმაც არაერთი მაგალითი იცის ერის ინტელექტუალური დაცლა-გადაგვარებისა? ერი, რომელიც ამ კითხვას თამამად და საბუთიანად უპასუხებს, სწორედ რომ შეურცხვენელი და სიცოცხლისუნარიანი ერია.

მეოცე საუკუნის მოქალაქე რომ ჯერჯერობით ლიტერატურაში მთელი სიცხადით ვერ დაიხატა, მიზეზი მარტო ჟანრთა ცვალებადობასა და დიდი ტალანტის დაგვიანებაში კი არ უნდა ვეძიოთ, ერთი და უპირველესად საყურადღებო მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ჩვენი თანამედროვე უაღრესად რთული სოციალური ფენომენია და მისი ხასიათის კვლევა თითქმის შეუძლებელია მარტოოდენ იმ ლიტერატურული ხერხებითა და მეთოდებით, რითაც გასულ საუკუნეთა მწერლები ხელმძღვანელობდნენ.

„ვინ არის ჩვენს გვერდით?“ — ეს ეპოქალური კითხვა დროთა განმავლობაში მეტ სიმძაფრესა და მნიშვნელობას იძენს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ გასაოცარი ინტენსივობით ვახდენთ გავლენას ერთმანეთზე. მაგალითის ძალა დღეს არაჩვეულებრივად დიდია. თუ ადრეულ საუკუნეებში კაცი ისე დაბერდებოდა თავის საგულდაგულოდ შემოღობილ ეზო-ყურეში, რომ იშვიათზე იშვიათად თუ გაიჭრიალებდა მისი მამაპაპური ჭიშკარი უცხოეთითან მოსული რომელიმე არქანჯელო ლამბერტის ან დიუმასათვის, დღეს ხელისგულივით ნათელი და მისაწვდომია დედამიწა ყველასათვის; მეორეც, ადამიანები ერთმანეთის ბედზე რაკი ვაგებთ პასუხს, გვერდით მყოფთა ცხოვრებას ისე მტკივნეულად განვიცდით, როგორც არასოდეს.

ამას წინათ ტელევიზიით უჩვენეს ახალგაზრდა კინორეჟისორის გენო ჩირაძის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“. ფილმის სიუჟეტი მარტივია, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავი და, რაც მთავარია, რეჟისორმა კარგად დაინახა ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ერთი შტრიხი — ძნელია ახლა შენთვის, მყუდროდ ცხოვრობდე. ერთმა კაცმა თავის ეზოში ბარს დაჰკრა. თუ არა ფეხი, მაშინვე კარის მეზობლის ინტერესის საგნად იქცა რას აკეთებო, ჰკითხეს მეზობლებმა. ორმოს ვთხრიო, მიუგო კაცმა. და შეკითხვაზე, თუ რატომ თხრიო, ორმოს მთხრელმა: ისე, უბრალოდო, რომ უპასუხა, მეზობლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც, როგორც მან აღნიშნა: „უბრალოდ არაფერი არ ხდება“. მეზობლის გადამეტებული ცნობისმოყვარეობით გაღიზიანებულმა კაცმა მეტი გულმოდგინებით განაგრძო ორმოს თხრა და საქმე იმით დამთავრდა, რომ მეორე დღეს თითქმის მთელი ქალაქი — მილიცია, სანეპიდსადგურის წარმომადგენელი, აღმასკომის ინსტრუქტორი, სახანძრო სამსახურის მუშაკი, გაზეთის კორესპონდენტი და კიდევ რამდენიმე უწყების წარმომადგენელი თავაუღებლივ მომუშავე ამ პატიოსანი კაცის ჭიშკართან იდგა და მისი იდუმალი ორმოს დანიშნულების მიზეზებს ირკვევდა. „რა ხდება, რატომ აღარ შეიძლება კაცმა შენივე შრომით შენს ეზოში პატარა ორმო ამოთხარო, თუნდაც სრულიად უმიზეზოდ, დროის გასაყვანად?“ ეკითხებიან მაყურებელს ფილმის ავტორები. და მე დიდხანს ვფიქრობდი ჩვენი განზოგადებული ცხოვრების იმ ერთ უხერხულობაზე, გენო ჩირაძეს ასე ლირიკულად და მართლად რომ დაუნახავს.

მიუხედავად იმისა, რომ დღიდან ცივილიზაციის აკვნის დარწევისა პროგრესული აზრი ადამიანთა შორის პატიოსნებასა და სათნოებას ქადაგებს, მიუხედავად იმისა, რომ კეთილი ნების ფილოსოფოსთა წიგნებში ლამაზი სიტყვებითაა ჩაწერილი ადამიანის იდეალური ზნეობრივი ნორმები, და მიუხედავად იმისა, რომ უკვე საუკუნეა, რაც ხელთა გვაქვს ადამიანის შინაგანი თავისუფლებისა და ჭეშმარიტების წვდომის უზუსტესი მეცნიერება — მარქსიზმი, მეოცე საუკუნის ადამიანი სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორს დგას. პიროვნების შემსწავლელ მეცნიერებას პასუხი ბევრი რამისთვის ვერ გაუცია დღემდე. განა გასაოცარი არ არის, იცოდე ჰიტლერული კანიბალიზმის მაგალითი და მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაამუშაო ადამიანთა გაჟლეტის იმგვარი მანქანა, დღეში ნახევარმილიონ კაცს რომ გაისტუმრებს იმქვეყნად! კლასიკური დემოკრატიის პრეტენზია გქონდეს და დღისით-მზისით მგზავრებით გაჭედილ თვითმფრინავში უდანაშაულო მსახიობ ქალს ქიჩავი დაუწყო, ან ჩემს პოზიციაზე დადექი, ან არადა თვითმფრინავის მომსახურებაზე უარს ვამბობო. პარადოქსებითაა მსოფლიო სავსე დღესაც, შეწუხებულია სოციოლოგის გონება იმაზე ფიქრით, თუ რატომ ხდება, რომ ბუნებაზე გამარჯვებული, გულის გადამნერგავი და მთვარის დამპყრობი მეოცე საუკუნის მოქალაქე ხშირად ანგარებისა და ქვენა გრძნობების მონად იქცევა.

დღევანდელი მსოფლიოს სამი უმთავრესი პრობლემა — ენერგეტიკული კრიზისი, გარემოს გაჭუჭყიანება და სურსათით მომარაგების პრობლემა მეტნაკლები სიმწვავით თითქმის ყველა სახელმწიფოს წინაშე დგას. გარდა ამისა, ურბანიზმი, რწმენის მერყეობის პრობლემა, შიშის ფსიქოზი ახალი ატომური ომისა, რომელსაც დედამიწაზე სიცოცხლის შეწყვეტა შეიძლება მოჰყვეს, — თანამედროვე მსოფლიოს ეს გლობალურ-მოდური პრობლემები, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენს სულზეც ანაბეჭდს სტოვებს და მეოცე საუკუნის ადამიანს სწორედ ისეთად აქცევს, როგორიც არის იგი. ამიტომაც უწოდებენ ჩვენს საუკუნეს გარდამავალ საუკუნეს, ამიტომ არის ჩვენი თანამედროვე თავისი თავისა და საზოგადოების განვითარების მდგრადი კანონების მარად მტკივნეულ ძიებაში.

ანტიკური სიბრძნე — „მითხარი ვისთან მეგობრობ და გეტყვი, ვინა ხარ შენ“, როგორც არასდროს, დღეს მეტ სიცხადესა და გარკვეულობას იძენს. ფილოსოფოსის ნათქვამი — როგორ საზოგადოებაშიც ცხოვრობ, სწორედ იმ საზოგადოების ღირსი ხარო, საზოგადოების წევრის აქტიურობასაც გულისხმობს ქვეცნობიერად, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შენ, პიროვნებამ, უნდა შეძლო სასიკეთოდ მოაქციო მარტო შენი თავი კი არა, შენს ირგვლივ მყოფნიც. მიმოვიხედოთ ირგვლივ და გამოტეხილად ვთქვათ, რა ცოტაა ჩვენში სხვათა ბედით აქტიურად დაინტერესებული და რა ბევრია „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ არხეინ თეორიაზე მდგარი. პასიური პატიოსნება, რა თქმა უნდა, თავისთავად პატიოსნებაა, მაგრამ საზოგადოების განვითარებაზე ძალიან სუსტ გავლენას ახდენს.

ჩვენს ცხოვრებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი ალამაზებენ, ვისაც შეუგნია მამულისა და ხალხის წინაშე თავისი ღვთიური ვალი, ვისაც პირადულზე მაღლა საზოგადოებრივი საქმე დაუყენებია და ერის მოჭირნახულის მანტია უმშვენებს მხრებს.

ცხოვრობს ქუთაისში ოთხმოცდაათს გადაცილებული პეტრე ჭაბუკიანი. ამ ანგელოზის სულის მქონე კაცმა მთელი ცხოვრება შესწირა იმას, რომ ქალაქის შემოგარენში მწვანე ტყე შრიალებდეს და ვერავინ ხელმყოს კირქვაზე მილიონი წლის წინათ აღბეჭდილი დინოზავრის ნაკვალევი; არავინ დაარღვიოს სათაფლიის მღვიმის ათასწლოვანი მყუდროება და თოფიანი კაცის უხეში ხელი არ შეეხოს ნაკრძალში მოკუნტრუშე შვლებსა და ნიამორებს. განა ეს თავდადება არ არის? განა ეს უკვდავი მაგალითი არ არის იმისათვის, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა?

გეგეჭკორში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნიადაგ დაფათურობს ერთი თმაჭაღარა, კაფანდარა კაცი, როგორც მეფსალმუნე ბერი ტაძარში. მისი სახელია გივი ელიავა. ამ კაცმა შეუძლებელი შეძლო. ლამის საზოგადოებრივ საწყისებზე, შიშველი ენთუზიაზმით შექმნა რესპუბლიკის ეს ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმი; მინის ხუფის ქვეშ მოათავსა დასაკარგავად განწირული მრავალი ნაშთი ჩვენი ძველი დიდებისა; მკვდრეთით აღადგინა მარტვილის ტაძარი და შექმნა სამეგრელოს ტოპონიმიკის უაღრესად პანორამული ნაშრომი. ერთი ჩია კაცისთვის განა ეს ტიტანის საქმე არ არის? განა წმინდა მოწამის ღვაწლს არ უდრის გივი ელიავას ღვაწლი ხვალინდელი საქართველოს წინაშე?

საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებით ნიკო კეცხოველს თავისი ძველთაძველი ფოტოაპარატითა და განუყრელი წერაქვით ხელში. გარეჯის უდაბნოსა თუ დარიალის ვიწროებში, მესხეთის ქედებსა თუ ზეკარის გადასასვლელზე მის გოლიათურ ნაბიჯებს ქარი და ხორშაკი ვერ ანელებს, მის არწივულ მზერას წელთასვლა ვერა ღლის. რა ხდება საქართველოს მიწაზე, რა უჭირს ჩვენს ფლორასა და ფაუნას? მარტო ბუნების ქომაგი კი არა, სოფლის მუშაკთა ბრძენი და ჭკვიანი მრჩეველიცაა იგი, შეკრებს კოლმეურნეებს და საქმიან თათბირს გაუმართავს: სად რა კულტურა უკეთ იხარებს, სად რა ნერგი უნდა ჩაჰყარონ; ვაზის რა ჯიშები ხარობდა უძველეს საქართველოში და იმათგან რომელია გახსენებისა და კვლავ მოშენების ღირსი. თოხზედაყრდნობილნი მდუმარედ და ყურადღებით უსმენენ აკადემიკოსს. იციან, ზედმეტ სიტყვას არ იტყვის, — მისი თათბირი საქართველოსთვის საჭირო თათბირია. ბუნების მისნობა, მინდიაობა ერთია და ნიკო კეცხოველი ჩვენი ენათმეცნიერებისა და ეთნოგრაფების საქმესაც აკეთებს. ხავსმოკიდებულ ზოგიერთ სიტყვას ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, უსამართლოდ მივიწყებულ ადათს თუ რიტუალს დროის მტვერს შემოაცლის და ახლებურად ააელვარებს. ასე უვლის თავის ქვეყანას ნიკო კეცხოველი.

ჩვენი ერის გამაკეთილშობილებელ მოღვაწეთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. რა ადვილია მათს ახლოს ცხოვრება. რა იმედის შუქით გავსებს და სასიკეთოდ აღგანთებს კაცს იმ პიროვნებათა ნათელი სახე, ქვეყანას ბურჯებად რომ შედგომიან, სანთელივით რომ იწვიან ხვალინდელი, უკეთესი საქართველოსათვის.

ლაქები მზესაც აქვსო, მაგრამ სამწუხაროდ დიდხანს შემორჩნენ ჩვენს საზოგადოებას ისინი, ვინც ლაფში სვრის მარტო იმ ერის სახელს კი არა, ვის შვილადაც დაბადა ბუნებამ, ჩირქსა სცხებს ვაჟკაცობისა და პატიოსნების ტიტულს საერთოდ და თავისი, რატომღაც დაუსჯელი ავკაცობით გუნებას უფუჭებს ირგვლივ მყოფთ. ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე უპირატესად იმაზე უნდა გვეზრუნა, როგორ აღმოგვეჩინა და აღგვეზარდა ჩვენს თავში რაფაელი, სინამდვილეში კი არნახულ დროსა და ენერგიას ვხარჯავთ იმ ე. წ. საზოგადოებრივ ცუდლუტობათა, მანკიერებათა აღმოსაფხვრელად, გულისმომკვლელად რომ მრავლდება და იფოთლება დღესაც.

ჩვენს გვერდით ჯერ კიდევ არიან გობსეკის, მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვისა და სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის შთამომავალნი. მომხვეჭელობისა და ქონების დაგროვებისკენ მათი პათოლოგიური სწრაფვა ყოველი პატიოსანი ადამიანის ზიზღს იწვევს. დადიოდა თბილისში კაცი, რომელსაც თავის ახლობელთა და ნათესავთა გვარებზე შემნახველ სალაროებში შეტანილი ფულის წიგნაკების მთელი კართოტეკა ჰქონდა შინ და ამ უძრავი თანხის დასახარჯავად მისი დაბნელებული გონება ოქროს ჰალსტუხის შეძენაზე შორს ვერ წავიდა. ერთი დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელსაც სწორედ თანამშრომელთა შორის პატიოსნების განმტკიცებისა და წესრიგის დაცვა ჰქონდა დავალებული, ეზოში საიმედოდ დამარხული განძის კუბო უპოვეს. სავსე იყო ეს კუბო თვალ-მარგალიტ-ძოწეულით, ოქრო-ვერცხლითა და პატიოსანი ქვებით. ცრემლმორეული დასცქეროდა სასამართლოში ბრალდებული თავახდილ კუბოს თავისი სიმდიდრისას და ის ცრემლი სინანულის ცრემლი კი არ იყო, არამედ წლობით მონაგარი სიმდიდრის ერთბაშად დაკარგვის მწუხარება. საკანცელარიო დაწესებულებაში უმნიშვნელო თანამდებობაზე მუშაობდა ერთი მარტოხელა ქალი, რომელსაც შინ გულმოდგინედ შეკრულ-დაუთავებული მილიონი ედო. რად უნდოდა? რისთვის აგროვა ამ შუახანს გადაცილებულმა, თითქმის დავრდომილმა, უთვისტომო ქალმა ეს ამდენი ფული? სულხან-საბას ერთი იგავისა არ იყოს, რა თავში იხლიდა ჩრჩილის შესაჭმელად განწირულ თანხას? ასეთი ადამიანები ყოველთვის ყველა საზოგადოებას ჰყავდა. მათი ავადმყოფური ბუნება და წრეგადასული სიძუნწე ეზოპესა და არისტოფანეს დროიდანვე გახდა დაცინვისა და გაკიცხვის საგანი.

ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ლაშქარს სხვაგვარი ჯურის კაცუნებიც მიეტმასნენ. ისინი საიმედოდ ინიღბებიან და ამგვარ „პიროვნებათა“ შემჩნევა-გამოვლინება ოქროსჰალსტუხიანებთან შედარებით გაცილებით უფრო ძნელია.

ჩვენი ბრძოლის მთავარ სამიზნეს სწორედ ისინი, ეს ახალი ჯურის ხორცმეტები უნდა წარმოადგენდნენ. თანამედროვე ქამელეონებს და ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს თქვენც არაერთხელ წაწყდომიხართ და ხშირად გვერდიც კი აგივლიათ, განზე გაგიხედავთ, იმიტომ კი არა, რომ მისი სივერაგე ძნელსაცნობი იყო, უფრო იმიტომ, რომ მისი ულტრათანამედროვე ნიღაბი და მოდური ავაზაკის დახვეწილი მანერები ისე საიმედოდ ფარავდნენ მის ავკაცობას, თქვენვე შეშინდით, ვაითუ არ დამიჯერონო.

ვითარებასთან „შეგუებული“ ზოგი დღევანდელი კარიერისტ-კომბინატორი ოსტაპ ბენდერსა და კვაჭი კვაჭანტირაძეს შეგირდადაც არ აიყვანდა. არაჩვეულებრივ გამომგონებლობას იჩენს იგი თავისი ბნელი ზრახვების მისაჩქმალავად.

თვითონ იატაკქვეშა მილიონერი, თაღლითი და გაიძვერა გულზე ხელის ბრაგუნით პატიოსნებასა და სინდისზე ლაპარაკობს; ნიანგის ცრემლით ევსება თვალი, როცა სახელმწიფო ქონების დატაცებაზე ჩამოვარდება სიტყვა, აღშფოთებას ვერ მალავს, როცა ოცი კაპიკის მოპარვისათვის მოლარეს ან გამყიდველს სამართალში მისცემენ: როგორო? საქვეყნოდ გაჰყვირის, — ასეთი კაცი ჩვენს შორის როგორ დადიოდაო, ხელს როგორ ვართმევდითო, სალამს როგორ ვაძლევდით, როგორ ვერ შევამჩნიეთო. იგი თავისი ხელშეშლილი მეგობრის ცხედარსაც სიამოვნებით გადააბიჯებს, რათა პატიოსანი კაცის ილუზია შექმნას და სიმართლის მაძიებელთა თვალი სხვაგან გაიტყუოს.

მოგეხსენებათ, რა ძნელია ადამიანების ფსიქიკის ურთულეს ნიუანსებში შეუმცდარი ორიენტირება. კაცის ჭეშმარიტი ცნობისათვის ერთი ფუთი მარილის ანდაზა საფუძველმოკლებული როდი გახლავთ და ამგვარი, ახალი ტიპის თვალთმაქცები ზოგჯერ ახერხებენ კიდეც ზედმეტად მიმნდობთა თვალში „ყოჩაღი ბიჭის“ სახელი დაიგდონ. მლიქვნელობით, გულისამრევი თვალში ყურებითა და ხელფეხის მლოკველ ფინიასავით ნიადაგ ოთხზე დგომით ისინი ზოგჯერ თანამდებობის მიღებასაც კი აღწევენ. არა, ისე სულწასულნი როდი გახლავან, რომ მეორე დღესვე ფართო ჯიბე დაიკერონ და მოსახვეჭად გაშალონ ხელები. ჯერ ავტორიტეტი უნდა მოიხვეჭონ. იციან, რომ ახალ ცოცხს კედლებიც უსმენენ, და კანში ძვრებიან, რათა ხელმძღვანელთა „ნდობა გაამართლონ“. გაივლის ცოტა ხანი, წამით მოაშორებენ თუ არა ობიექტურ მზერას, უკვე ძონივრად მიითლიან თავისკენ.

უნდა განახათ, რა „ენერგიული ადამიანები“ არიან ეს ყოჩაღი ბიჭები ყურში ხელის ჩავლებამდე, რა „მკაცრი და შეუვალი“ ხელმძღვანელები გახლავან, დამსმენთა და ენატანიათა სათარეშოდ აქცევენ მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებას, რადგანაც უსათუოდ უნდა იცოდნენ, რას ფიქრობენ მათზე. დირექციის სხდომებზე საქმის კეთების ნაცვლად არის გაუთავებელი „პირში წაყენება“ და ახალი უფროსის იგნორირებისათვის დასჯა-გასამართლება, ეს უსირცხვილო კარიერისტი სხვების უპირობასა და სინდისის დაკარგვაზე გაჰყვირის, თავის „უანგარო“ თავს წამდაუწუმ ამადლის თანამშრომლებს და, ანგელოზის გრიმწასმული, პატიოსან ადამიანებს ნერვებს უშლის. მისი მოჩვენებითი სიმკაცრე სადიზმის იერს ატარებს, ხშირად უსაქმობისაგან ამთქნარებს კაბინეტში და გაუთავებელი ლოდინით თავმობეზრებულ მთხოვნელებს საგულდაგულოდ ემალება. უფროსს არ სცალიაო, წამდაუწუმ გაიძახის საგანგებოდ გაწვრთნილი მდივანი გოგონა. უხარია ამგვარ ვაი-უფროსს, რომ მის კართან გროვდებიან. სიამოვნებას ჰგვრის ისიც კი, რომ „დაუპატიჟებელი სტუმარი“ ლოდინით დასაჯა. დამიხედეთ, რა დიდი კაცი გახდა! გულუბრყვილო მსმენელს შეწუხებული სახით ჩამოუგდებს სიტყვას იმაზე, რომ ამ დაწესებულებაში ყველაფერი მისი გასაკეთებელია; რომ უინიციატივო და უუნარო თანამშრომლები ჰყავს და ექსპლოატაციას უწევენ; რომ ძალიან ილლება და სიამოვნებით დაუთმობდა სხვას თავის საუფროსო სავარძელს. არ დაიჯეროთ! რკინის კაცად, ამ საქმისათვის დაბადებულ პიროვნებად იქცევა, როცა გათავისუფლებას დაუპირებენ, ფეხებში ჩაუვარდება ყველას, დამტოვეთო, თუ შემოთავაზებული თანამდებობა მის კარიერისტულ მიზნებს არ ეთანხმება.

პატიოსნად მუშაობის მის მიერვე დადგენილ ვადაში გააკეთებს ცოტას რასმე ახალი ტიპის არამზადა და მერე, დარჩენილ დროს იმას ანდომებს, ზემდგომ ორგანოებს ბუზი სპილოდ როგორ მოაჩვენოს. „მე... მე... მე დამასახელეთ, მე ამირჩიეთ.... მე წარმადგინეთ“ — ყოველგვარი კაცური კდემის გარეშე ამ სიტყვებით ივსება მისი ლექსიკონი. თვითონ დაარბენინებს რედაქციებში თავის ფოტოსურათებს და მის ტალანტზე დაწერილ პანეგირიკულ წერილებს: „კეთილ ძიებს“ თავს აბეზრებს ჯილდოებისა და წახალისების ფურცლების უსირცხვილო თხოვნით.

ასეთია იგი, ჩვენს შორის გაჩენილი ახალი ტიპის გარეწარი. მისი ბინძური სულის გამოსამზეურებლად, მისი მზაკვრული სახიდან სათნოებისა და სიკეთის ნიღბის ჩამოსაგლეჯად, ყველანი უნდა დავირაზმოთ.

შევატყობთ თუ არა, რომ მავან კაცს ჩვენთან გული არ უდგება, რომ დღევანდელი თანამდებობა მაღლა ასახტომ ბადედ მიუჩნევია, თვალთმაქცურად ატყუებს ირგვლივ მყოფთ და თვალში ნაცარს აყრის, — ნუ დაველოდებით იმ დროს, როცა მისი „დაცურების“ ზარს ზემოდან დარეკავენ, ჩვენ თვითონვე ვამხილოთ, თვითონვე მოვკვეთოთ.

კრიმინალურ დამნაშავეებზე უფრო მე იმისი სიჩუმე მაწუხებს, ვისგანაც უპრიანია მხილება და ხშირად ჩრდილში მიმჯდარი შესცქერის, რომ, მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს, „ტრიბუნაზე მატრაბაზი ადის...“. დაიღალა იგი. არაერთი მაგალითი იცის იმისა, თუ როგორ დაუბრუნდა უკან ქარის მიმართულებით ნასროლი ფიწალი, არაერთხელ აუწიეს ყური გულწრფელობისათვის. ჯერ საკრიტიკოდ შეაგულიანეს და მერე მისი ბედი იმასვე ჩაუგდეს განსახილველად, ვისაც აკრიტიკებდა. და ბოლოს, როგორც იქნა, მოძებნა მან ოქროს ზომიერება. წონასწორობის ბარომეტრი ერთ სიმაღლეზე გაჰყინა, ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა. რა ჩემი საქმეა... მაინც არაფერი შეიცვლება... ასე იყო და ასე იქნება... სულერთია, მაინც ვერ გამიგებენო... — ხშირად გაიგონებთ ხელჩაქნეულთა ბაგეთაგან და რომ იცოდეთ, როგორი გადამდებია განზე გამდგარის მშვიდი პოზა, რა უბადრუკი მაგალითია იმისათვის, ვინც იმედითა და ჭიდილის სურვილით მოსულა ცხოვრებაში.

დავუბრუნოთ გულგატეხილთ რწმენა, გამოვიხმოთ ისინი სიმართლისთვის მყუდრო მღვიმეებიდან და რაც შეიძლება ხმამაღლა ვუთხრათ:

— თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს. ჩვენი მომავალი ჩვენსავე ხელთაა.

გამოიცა უცხოეთში



ნოდარ დუმბაძის რომანები და მოთხრობები მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა გამოცემული.

ამ დღეებში საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოში მოვიდა ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთში გამოცემული ლენინური და რუსთაველის პრემიების ლაურეატის ნოდარ დუმბაძის რომანები.

ჩეხოსლოვაკიაში გამომცემლობა „მლადე ლეტამ“ გამოსცა რომანი „მე ვხედავ მზეს“, ხოლო საფრანგეთის უდიდესმა გამომცემლობა „პიგმალიონმა“ მასობრივი სერიით გამოუშვა ახალი რომანი „მარადისობის კანონი“, რომელსაც ახლახან, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღეებში, ლენინური პრემია მიენიჭა.

წიგნი ლამაზადაა გაფორმებული, ერთვის ავტორის პორტრეტი, ბიოგრაფიული ცნობები და რომანის მოკლე ანოტაცია.

Nodar
Doumbadze
La Loi
de l'Éternité
roman
Collection
Pygmalion

იონა ვაკელი

იცოცხლებს მარად

მძიმე შრომაში ცხელი ოფლი თუ ვინმემ ღვარა,
იმის სახელი ქვეყანაზე იცოცხლებს მარად;
არც იმის სახელს დაივიწყებს შთამომავლობა,
ვინც თავის მკერდით აღიმართა სამშობლოს ფარად.

ვინც რამე არგო თავის ხალხს და მშობლიურ მხარეს,
ვაზი დარგო თუ გუთნისდედად უძღოდა ხარებს,
ყველას მადლობა, ვინც მძიმე ხვედრს არ შეუშინდა
და თავის ხალხის სიფხიზლისთვის რეკავდა ზარებს.

არც ის მოკვდება, ვინც მგზნებარე გენიის გვარად
ცეცხლს აკვესებდა თავის ჩანგით მთაში თუ ბარად,
ხალხს რომ ნუგეშად მხარში ედგა ძნელბედობის ჟამს,
იმის სახელიც ქვეყანაზე იცოცხლებს მარად!

მეამაყება

რა ვუყოთ, ხან თუ დარდი
მექნება,
ხან ყვავილივით გადაშლილი
ვარ,
მეამაყება იმის შეგნება,
რომ ნამუსიან ერის შვილი ვარ.

და ამით ვცოცხლობ ოცნებით
მთვრალი,
ეს არც მითია, არც მოჩვენება...
ნამუსიანი ადამიანი
იყო და არის ქვეყნის მშვენება.

იგი მეგზურად ხშირად ყოფილა,
გზა არ შეშლია მრუმე ღამეში...
თვით უკვდავება ჯერ არ
შობილა —
თავგანწირვის და რწმენის
გარეშე...

ახლაც ის ბადებს ღვთაებრივ
აზრებს,
რადგან იგია გულის ბატონი
და მიტომ დავრჩით ამ
ქვეყანაზე,
ულამაზესი სულის პატრონი...

რა ვუყოთ, ხან თუ დარდი
მექნება,
ხან არწივივით მხრებგაშლილი
ვარ,
მეამაყება იმის შეგნება,
რომ ნამუსიან ერის შვილი
ვარ!

ოსეთის შვილებს

ილია კავკაზაგს

ეს მთები ნისლით თავზე ნაყარით —
დგანან და დუმან დიდი ხანია...
ჩუ! ეს ხმა ნეტავ საიდან არის,
ნუთუ ეს ჩვენი ამირანია?!
— მე ვარო იგი, — მესმის ძახილი,
— ოსი ხალხი ვართ, მადლის
მთესავი!
— ხოშგელდი, ძმებო! არაფერია,
სისხლით რომ არ ვართ ჩვენ
ნათესავი!
ჩაკირულია მარადი ძმობით
შენი ოსური, ჩემი ქართული,
ჩვენ სიყვარულით და მეგობრობით —
მუდამ ვიქნებით წელგამართული!
ჩაბარდა წარსულს დროჟამი მკაცრი,
ვმოყვრობთ ჩვენ ისევ დიდი ხანია,
ხან სიძეთ გვყავდა შენი ვაჟკაცი,
რძლად ოსი ქალიც მოგვიყვანია.
ბედნიერია შენი მოძღვარიც,
შენი დიდება, მგოსანი კოსტა,
რომ ხალხის გულში კვლავ აღარ
არის —
წარსულის დიდი ტკივილი ოსთა...
ძველმა ცოდვებმაც დახუჭეს თვალი,
მას გაჰყვა შურიც გესლის მთესავი...
ჩვენი ლიახვის ანკარა წყალი —
ღმერთმა შეგარგოს დედის
რძესავით!

შალვა ფორჩხიძე

ვფიცავ საქართველოს წმინდა სახელს!

ღმერთო, რანაირი დილა გამითენდა,
ბალახი რანაირ თვალებს ახელს,
ყველა ჭრილობა გამიმთელდა,
ვფიცავ საქართველოს წმინდა სახელს!

ღმერთო, რამდენი ბავშვი ტიტინებს,
რამდენი ანგელოსი მოფრენილა,
რამდენი ლურჯი ჩიტი ჭიკჭიკებს, —
ქვეყანა იებით მოფენილა.

ღმერთო, რანაირი ფართო თვალები აქვს
ყველას, ვინც სიმღერას ეპირება,
ყველას საქართველო ყვარებია,
ყველა ჩემს საფიცარს მეცილება!

ღმერთო, რამდენი ხე გაფოთლილა,
ღმერთო, რამდენი ფოთოლი მღერის,
ასეთი სასწაული ჯერ არ ყოფილა, —
მიწაზე კაცივით დადის ლურჯი ფერი!

ღმერთო, რანაირი მყუდრო კორდებია,
რამდენი სინათლე ჰქონია ბალახს,
თითქოს ყვავილებს ცეცხლი მოდებია, —
ხვალ სხვა საოცრებას ენახავ!

ღმერთო, რამდენი წმინდა ადგილია,
რამდენი წყარო კისკასებს ტყეში,
ახლა სიყვარული უფრო ადვილია, —
სიკეთე ბავშვივით მიჭირავს ხელში!

ღმერთო, რანაირი დილა გამითენდა,
ბალახი რანაირ თვალებს ახელს,
ყველა ჭრილობა გამიმთელდა,
ვფიცავ საქართველოს წმინდა სახელს!..

●

ვაი, რამდენი ხანია,
ვეძებ სამოთხის კარს,
გზა გამინათე, მადლია,
ეშმაკი მიბნევს კვალს.

ვფიქრობ და ველარ ვიხსენებ,
რომელს დავადგე გზას,
ცრემლები ხალათს მისველებს,
ვარსკვლავი წყდება ცას.

საცაა, ბინდი მოიცავს
ცივი სამარის კარს,
ვაი, რა ყანა მომიცდა,
სიცოცხლე მიაქვს ქარს!..

ეგეც სამოთხის კარია!..

გარეთ თოვს ხვავრიელადა,
ცას ვინ დაჰკიდა კანკელი?
ხალისობს სველი ხელადა,
სულში შემოდის ნათელი, —
შენ არ დამიდნე ცრემლადა,
მე სხვა სასწაულს არ ველი.
დამისხი, რაც დამაკელი,
დავლიო, გაგიხარია,
ღვინომ წაიღოს ნაღველი,
ეგეც სამოთხის კარია!
ცა თეთრად გამოიფოთლა,
უხვად ჩამოდის ფანტელი,
სინათლემ გულს მომიფონა,
სხვა უფრო სპეტაკს რას ელი?
ეზოში დიდი მუხის ხე
ანთია, როგორც სანთელი!
დამისხი, რაც დამაკელი,
დავლიო, გაგიხარია,
ღვინომ დაალრჩო ნაღველი,
ეგეც სამოთხის კარია!..

პოეტის გაზაფხული

გაგიჟდა ხარი
წითელი მზით
ჩემი რჩეული,
პოეტს მიწაზე
სიხარულით არ უდგას ფეხი.
ქალებს მოედო
საყვარელი
ხმა გუთნეულის
და ლავაშივით ხევს შავ მიწას
სახნისით გლეხი.

პოეტმა სიტყვას
სიტყვისავე ჩამოჰკრა კვესი,
დაანთო ცეცხლი,
ბრძენთაბრძენი გაოცდა გლეხი,
იგრძნო, შავ მიწას
სახნისივით სჭრის მუხის
ფესვი,

იგრძნო,
ცეცხლს აჩენს
ცხელი სიტყვაც,
ვითარცა მეხი...
წვავენ ხმელ კვრინჩხებს,
გამოწალდულ ახოებს ტეხენ,
თესენ სიყვარულს,
თესენ მარცვალს სამშობლოს
ბედზე,
თესენ,
ჩიტებიც თითქოს მიწას
ნისკარტით ხევენ,
გაგიჟდა ხარი, —
წითელი მზე მოაჯდა ქედზე...

●

თითქოს ცა არის იის წყალით
გავსილი გობი
და ჩიტებივით ფართქალებენ
შიგ ვარსკვლავები...
დილით სველ ფოთლებს
თხელი ნისლის შორდება ობი,
მიწაზე ჩნდება
სისხლისფერი
მზის ნაკვალევი..

ცაში სრიალებს ელვასავით ტოროლა
ფიცხი,
თავს იკლავს მზეში,
ლაჟვარდს ფარავს
გალობა მწველი.
მე რას მიპირებ?
მოდი ახლა
დადევი ფიცი,
ბედი მაწვიე,
ანდა ბარემ
გამომჭერ ყელი...

სილოვან ნარიმანიძე

●

დიდი ხანია დაყრუვდა მხარე,
აღარ ხმაურობს ლურჯი სამხრეთი,
ბილიკებს შამბი ახურავს მწვანე
იქ, სადაც ლურჯად ჩანს ალავერდი.
ხან კი ქუხილი გაიხმაურებს, —
მთებზე გადავა ღრუბელი თეთრი,
ყრუ მდუმარებით მოსილ აულებს
სძინავთ ღრმა ძილით,
სიჩუმით მკვეთრით...
რად მაგონდება წარსული მწარე,
როგორც ძვირფასი სატრფოს სამარე?..
ვინ იხედება სამხრეთისაკენ?..
არავინ,
მხოლოდ ბავშვობა მწყრალი
ხელს მიქნევს, სადაც ალაზნისაკენ
მიექანება ორვილის წყალი.
უმთვარო ღამის ლურჯი სამოსი
გადაჰფენია ქარაფებს ტყიანს,
აღარც მხედარი სჩანს საღამოსი,
ირგვლივ ამაოდ თვალები რბიან,
აღარც მერანი ბალახებს რძიანს
მოსძოვს,
რა იქნა?..
ვიხსენებ წარსულს,
როგორც დამარხულ ძვირფას საგანძურს.
ვინ იხედება სამხრეთისაკენ?..
არავინ,
მხოლოდ ბავშვობა მწყრალი
ხელს მიქნევს, სადაც ალაზნისაკენ
მიექანება ორვილის წყალი...

შენთან...

ხომ ძვირფასია გახსენება
დიდი ხნის შემდეგ!... —
ლოდინისა და ნაქუხარი დღეების შემდეგ,
როცა მთებიდან მდინარის ღვარი
ჩამოატარებს ასწლოვან მუხებს...
...(დარდი რომ ჩნდება, ჩვენს გულებში, —
წარსულის დარდი)! —
ხომ ძვირფასია გახსენება
დიდი ხნის შემდეგ!..
გადარჩენილი ჟამის ხიფათს,
ჯერ კიდევ ვცხოვრობ,
ჯერ კიდევ ვისმენ,
ვხედავ და ვიბრძვი,
ძვირფას სახელებს
ისეთივე ურთოლვით ვიხსენებ,
და ისევ ისე
შენი სახლის სარკმელთან ვიცდი, —
გამოიხედე,
მომენატრე, შეგხედო ერთი!
ხომ ისევ ის ხარ,
ხომ ისევ ისე ძველებურად ომახიანობ!
გულიც ხომ ისე გერჩის ისევე!
ისევ თუ მოგაქვს საღამოობით
დიდი კუნძები ტყიდან ბუხრისთვის?
იმ ალტაცებით ძველ მეგობრებს
ისევ თუ ხვდები?
ხალისიანად თუ მიგიწევს გული ზვრებისკენ
და მადლიერი იხედები უკან წლებისკენ, —
იმ გარდასული დიდი წლებისკენ!..
მე ისევ ვცოცხლობ,
ისევე იმ აზრით და ფიქრით,
გრძნობით და ძმობით,
ერთგულებით წარსულის დიდის,
ჩვენი მიწა-წყლის სიყვარულით,
სიცოცხლის ლხენით,
აღსავსე რწმენით, კვლავ მოვედი,
რომ გაგახსენო
თავი ჩემი და გულით გთხოვო,
— არ გაცვითო სიმხნევე ძველი...
... აჰა, აღმდგარა სიხარული,
ლერწმოვანების ნორჩი ჩეროდან,
რათა იმღეროს სიყვარულმა
აღფრთოვანებით...
ძვირფასი არის მონატრება
დიდი ხნის შემდეგ,
სულ სხვა აღმართი აღმართულა
დაღმართის მშვენი,
სხვა დარს მოვიტან შენს ეზოში, —
წვიმის თქეშივით შემოვიჭერი.
გამოიხედე,
გამიხსენე,
გამოიხედე!

ართანა

თუ როგორ შვენის კახეთს წარსული,
ამის დასტურად კმარა ართანა,
იქ, ულრან ტყეში,
ფიქრში წასული
(დარი რომ ედგა კახეთს),
მივიწყებული ხატი პატარა
მამულს ლოცავდა, —
ვნახე!..

ადამიანთა მაღალი ხმები...

ვინც ჩვენს გულს იპყრობს,
მთამსვლელს ჰგავს იგი,
უუმაღლესი მწვერვალები დალახა ვინაც...
...ადამიანთა მაღალი ხმები
მე ჩამესმოდა განთიადისას...
მიწყდნენ, წავიდნენ, თვალს მიეფარნენ, —
ასპარეზი ვრცელი დატოვეს!..
ყურს ვუგდებ ხმაურს, —
ქარების გნიასს,
მდინარეების ჯიქურ კვეთებას,
გაავდრებას თუ გამოდარებას
და ყველაფერში ნაცნობ ხმას ვეძებ,
სითბოს დავეძებ, კაცის გული რომ
გამოსცემდა.
მაგრამ მთამსვლელი, შორეთს წასული,
აღარ ბრუნდება მწვერვალებიდან...

ჯემალ ჩახავა

ამ მდინარის და იმ მთების იქით

დღეს ისევ მისკენ მიფრინავს ფიქრი
და ვებრძვი შუბლზე დაწერილ იღბალს.
ამ მდინარის და იმ მთების იქით
ცხოვრობს გოგონა, რომელიც მიყვარს.

ამ მდინარის და იმ მთების გაღმა
მიფრინავს მთვარე დაღლილ გედივით, —
პატარა გოგო მიგონებს ახლაც,
ლამაზი, ჩუმი და მოწყენილი.

ჩაფიქრება

დუმილით ვუმზერ ხავსიან ლოდებს
და ვეფარები ნისლიან ფარდას,
პოეტს ამ ქვეყნად რა უნდა მქონდეს
სიცოცხლის, მზის და ცრემლების გარდა.

იისფერ მინდორს ყაყაჩო აწვიმს
და მოსჩანს შორით მოთეთრო აფრა,
მე გუშინ ყველა წერილი დავწვი
და მივაკითხე მეგობრის საფლავს.

ნაძვების ჩრდილში მოსთქვამდა ქალი.
და მე ვიდექი მოხდილი ქუდით,
იქვე, სულ ახლო მღეროდა მთვრალი
და დუდუნებდა მტრედების გუნდი.

და მე ვიდექი... სიცოცხლის ხალისს
კვლავ იტაცებდა ლურჯი ხეობა,
და იმედები უჩუმრად ხვალის
მკოცნიდა, მწვავდა და მეხვეოდა.

სოფელში

მინდორში დარბის პატარა კვიცი
და იფოფრება მზეზე ცხენივით,
იხვის ჭუკები აყრიან სიცილს,
ცა არის ლურჯი და მოწმენდილი.

მიფარავს ვერხვის ვეება ჩრდილი
და, ჩემთვის, შენზე ჩუმად ვმღერივარ,
თვალცრემლიანი ვიგონებ თბილისს,
მაგრამ დღეს აქაც ბედნიერი ვარ.

სადღაც შორიდან მეძახის ძიძა,
გავრბივარ მისკენ თითქოს ქარი ვარ,
ფეხებქვეშ მღერის კოლხური მიწა
და მიხარია, რომ ცოცხალი ვარ.

ოთარ შალამბერიძე

პატივი ეცი დროს

მე გეკითხები შენ:
მყუდროს რად ირჩევ სავანეს?
იქნებ ადრეა ჯერ,
საწუთრო რამეს გავალებს...

ან გეგულება სად
ის შენი წყნარი ფულურო, —
ყოფნა-არყოფნის გზას
იქიდან უნდა უყურო?!

ზრუნვა სჭირდება ზროს, —
იზარდოს გაულუნველად;
პატივი ეცი დროს,
პატივცემულო თხუნელო...

ლირიკული უკანდახევა

ო, არაფერიც არ მომხდარა გასაოცარი.
მხოლოდ ეს იყო თვალში საცემი,
რომ შუა ივლისს,
შუადღისას,
შუა ქალაქში,
გადასასვლელთან მოფუთფუთე მანქანებს შორის,
რომელთაც მძღოლნი წარამარა ამუხრუჭებდნენ,
ბოლსა და მტვერში,
სირენების გაბმულ ზუზუნში
და სიცხისაგან ასორსლებულ ასფალტის ბუღში
ჭიამაია გამიჩერდა ხელის ზურგზე...

სინანულის ლექსი

როდის დამცვივდა ფრთები შრიალა,
შეფრთიანება მომნატრებია;
წლები კი არა, წლები კი არა,
ეს — ნაოჭები მომმატებია!..

რაღაც ქურდული დანანებითა,
სანთლებია თუ ღვთის ჩიტებია —
გადაბურდული დარანებიდან
ანათებენ და იჭყიტებიან...

როდის გადაჰქრა ჩემი ხატება,
ჩემი ბავშვობა და შვინდობები?!.
მეგონა — ახლა შემიყვარდება,
თურმე ჟამი დგას დამშვიდობების!..

მეგონა აჰა, მოვრჩი ოტება,
დღეიდან მშვიდად მოვიხიზნები;
თურმე, იმ ჩემმა კორჩიოტებმა
გზა დამინაღმეს ყრმობის სიზმრებით...

არ ვიცი, გულში როგორ დავატევ
ამდენ ჟრუანტელს, მე რომ მედება;
რა ახლოს არის ორმოცდაათი
და რა ცოტაა შემოქმედება...

პირველქმნილივით მეუცხოვება
ეს კორდები და ბინდის ბლონდები;
მეგონა — ახლა ვიწყებ ცხოვრებას,
თურმე, დასასრულს ვუახლოვდები!..

ბედი სწორედ იმას ჰქონია

სხვადასხვაგვარი სიყვარული ცხოვრებას ახლავს
და ყოველ მათგანს უნაზესი გრძნობით წონიან;
ვალდებული ხარ, რომ მამული გიყვარდეს, მაგრამ
მამულს ვინც უყვარს, ბედიც სწორედ იმას ჰქონია!

სტრიქონში რამდენს გიხდიანო...

სტრიქონში რამდენს გიხდიანო, —
მოვკარი ყური.
საუბედუროდ, ამგვარი რამ
უკითხავთ ბევრგზის;
მიტომ კი არ ვწერ,
რომ არსობის ვიყიდო პური, —
მე პურს ვყიდულობ,
რომ დავწერო არსობის ლექსი!..

ზურაბ ქართლელი

უკვდავება

ჩემი სამშობლოს წმინდა ტაძრები
აღმართულია ერის ძეგლებად!
და პოეზიის იწვის ხანძრებით,
იწვის, იწვის და არ იფერფლება!...
საუკუნეთა მესმის ძახილი,
ცაში აჭრილი ქვათა ჰანგებად!..
და წინაპართა ფარი, მახვილი,
საწამ ვარსებობთ — არ დაჟანგდება!..
არ დაჩლუნგდება არც საჭრეთელი,
არც ურო — შრომის ოფლში ნაწრთობი!—
თვით ხელოვნების სულისკვეთებით,
თვით თავდადებით და ვაჟკაცობით! —
საკუთარ სისხლში აწობდნენ ფუნჯებს,
ცრემლით და ოხვრით, ოხვრით და
ცრემლით!..
და იქმნებოდა ერის საუნჯე,
გამოჭედილი ძლიერი გრდემლით!
გამოჭედილი დიდი იმედით,
ჯვარი და ხატი, ხატი და ჯვარი!..
და იბერია — ტანჯული ბედით,
გადარჩა სულით, ხორცით და გვარით!
და საქართველოს წმინდა ტაძრები,
აღმართულია ერის ძეგლებად!
და პოეზიის იწვის ხანძრებით,
იწვის, იწვის და არ იფერფლება!..
რადგან ქართული მიწის ფესვია!
რადგან მშრომელთა შექმნეს მკლავებმა!
რადგან იგია — თვით პოეზია,
თვით სიყვარული და უკვდავება!

გიორგი გელაშვილი

წიგნიდან:

„მკის შემდეგ აკრეფილი მარცვლები“

ნაცნობი ჰანგი

გვიან საღამოს წყნარ ქუჩაში ვიღაცის ხმადაბალი სიმღერა გაისმა. სიმღერას ყური მოჰკრა ჩაბნელებულ ფანჯარასთან ფიქრში წასულმა კაცმა და მაშინვე გაიხსენა ერთი კარგი ამხანაგი, რომელსაც ეს სიმღერა ჰქონდა აჩემებული.

ოღონდ, სად იყო და რას აკეთებდა ის ხალისიანი ახალგაზრდა, დიდიხანია აღარ იცოდა.

მისი საყვარელი ჰანგის შემთხვევით მოსმენა კი ისევე სევდის აღმძვრელი იყო, როგორც მისივე ძველი ფოტოსურათის და წერილისთვის თვალის გადავლება, როგორც — საერთოდ — უდარდელი ბავშვობის წლების გახსენება.

მხიარული ფერი

მთელი დღე გადაუღებლივ მომაბეზრებლად ჟინულავდა და ქუჩაშიც სწორედ ასეთი საძაგელი წუწუნის შესაფერი თალხი ქოლგები ჩანდა. მუქი, მხოლოდ მუქი ჩამომტირალი სველი ქოლგები კიდევ მეტად უფუჭებდა გუნებას წვიმისაგან ისედაც გულგაწვრილებულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც უკვე რამდენიმე საათი მოწყენილი იჯდა ფანჯარასთან და ვერც სახლში საქმეს პოულობდა და არც სადმე წასვლის ხასიათზე იყო.

მაგრამ, აი, მოულოდნელად ერთ მოსახვევში, საცოდავად გაზუზულ, ჯერ ისევ ფოთოლშეუჩენელ ჭადრებს შორის, არხეინად გაიფარფატა ცისფერმა ქოლგამ, რომელმაც სევდიანი ერთფეროვნების წინაშე თითქოს ერთადერთმა აიმაღლა ხმა: ჩემისთანა მხიარული ფერების ლამაზი დრო, ისევ მალე დადგებაო.

მოწყენილ ახალგაზრდა კაცს გუნება უცებ გამოუკეთდა.

ცაზეც უკვე ჩნდებოდა გულთმისან-მახარობელი ქოლგისფერი კრიალა ნაპრალები.

შესვენება

თოვლიან საღამოს ენაწყლიანმა მასპინძელმა სტუმრებს ერთი უფათერაკო თავგადასავალი უამბო...

— იმდენად არა გვშიოდა და გვწყუროდა, რამდენადაც სადმე ჭერქვეშ თბილად ჯდომა და ფანჯრიდან ბარაქიანი ბარდნის მზერა გვიზიდავდა. გზის პირას პატარა დუქანი გამოჩნდა, მანქანა კართან მივაყენეთ, ჩვენ კი დუქანში შევუყვინთეთ. მაგიდასთან დაჯდომა და ვიღაც მონადირეების შემოსვლა ერთი იყო. ისინიც ჩვენსავით ორნი იყვნენ, ორივე ახოვანი და სანადირო საკუთნარით ყოვლად აღჭურვილი. თითო ძაღლიც შემოიყვანეს. დაღლილობა ეტყობოდათ, ოღონდ ხალისით ჩქეფდნენ. დევის მადა გამოიჩინეს და ხრეში მარილითა და ალყად დაჭრილი ხახვით გადათეთრებულ ხაშლამას ხარბად ეკვეთნენ. ხაშლამო თითქოსდა თავათ უნდა მოეტანათ, მაგრამ ხელმოცარულნი იყვნენ. ჩვენ, მგონი, არ გაგვიცვნია, მაგრამ თითოეულს იქნებ მონადირეების შესახებ გავრცელებული სხვადასხვა უბერებელი სახუმარო მონაყოლი გაგვახსენდა, ისინი ნამდვილი მონადირეები გამოდგნენ. ალღოთი გამოამჟღავნეს. ჩვენს გულში განავლებს იდუმალად მისწვდნენ.

— განა იმიტომ არ გვახლავს ნანადირევი, რომ ტყვია მიზანს ავაცდინეთ, — ვინც კი დუქანში იყო, ყველა ღიმობიერი ღიმილით შეათვალიერა ერთ-ერთმა უნადავლო, წვერმოშვებულმა მონადირემ და თოფს ლულა ფანჯარაში გააყოფინა, თითქმის დაუმიზნებლად დააქუხა და გზის მეორე მხარეს გაკრეცილი ბებერი მსხლის კენწეროზე ფითრის ბუჩქი ყუნწში გადაჭრა: — კვლა არაფრისა ვინდომეთ და იმიტომ ვართ ხელცარიელნი. დრო კი მოვკალით, ძაღლები ვალაღეთ. თოფებიც მთლად არ გაგვიყრუვდეს-თქო.

ფითრის ბუჩქი მსხლის ტოტებზე ნელა მოგორავდა, მაგრამ ვიდრე ფაფუკ თოვლში რბილად ჩაიფლობოდა, იმავე ფანჯრიდან დააგვინა თავისი ორლულიანი მეორე, ბრდღვიალათვალება მონადირემაც და ვარდნილი ბუჩქი ჰაერშივე შუაზე გახლიჩა.

მაშინ კი უმალ გარეთ გაშპა ორივე მწევარი და პირში ჩხართვივით ჩაჭერილი ფითრის თითო ნახლეჩით უკან შემოქანდა.

„ნადავლი“ ორივე წვეროსანმა მონადირემ ჩამოართვა, თან უბეზე ხელი მოუთათუნა, ფითრის ნაწილები კი შემთელა და თოფების ქუხილზე დაფეთებულ და კედელთან შიშით აწურულ დამლაგებელ ქალს თავაზიანად მიართვა:

— შუაგულ ზამთარში ფითრიც ყვავილად ჩაითვლება, ჩემო დაო.

მისმა მეგობარმა კი დახლთან დანახარჯი გაასწორა და მონადირეები მაგიდასთან აღარ მიბრუნებულან, ყველასადმი მიძღვნილი კეთილი ღიმილით გარეთ გავიდნენ.

ჩვენ თავდაპირველად მყუდროდ, მდუმარედ ჯდომას ვისახავდით და არ გვესიამოვნა მონადირეების ხმაურიანი მოვლინებით და ძაღლების ხორხოცით რომ დაგვერღვა ის, რაც თითქოს აღვისრულეთ კიდეც. მაგრამ, აი, გავიდნენ დუქნიდან მონადირეები თავიანთი ძაღლებით, და მოულოდნელად თითქოს რაღაც სანუკვარი დავკარგეთ. დუქანი თითქოს დაცარიელდა. ჩვენს ხელთ იყო ის გარემო, რასაც ვნატრობდით, მაგრამ აღარ გვხიბლავდა.

ჩვენც თითქმის ფეხდაფეხ გავყევით მონადირეებს. თუმცა დუქნის დათმობაც გვენანებოდა, ისეთი სისუფთავე და შინაური მყუდროება სუფევდა იქ. გინახავთ მცირე და უჩინო, ბუხრით განათებული განმარტოებული გზისპირა სოფლური დუქანი, რომლის იატაკი ფილაქანი ან უბრალოდ მოტკეპნილი და მორწყული მიწაა, მაცდური ღუმელის ცეცხლი რომ ელაქუცება? გინახავთ და არ შეგყვარებიათ? გინახავთ და წასვლის დროს არ დაგნანებიათ?

ჩვენც პირველ ყოვლისა მონადირეთა წასვლამ დაგვწყვიტა გული. მაგრამ ცეცხლიც მუდამ არ ენთებოდა, აღარ მიუკეთებდნენ. ხოლო, როგორც ვინმე ძვირფასის შენს თვალწინ დაფერფვლა არ გინდა, ისევე უნდა გაერიდო იმის ჩაღვეღფვას, რაც ნამდვილად იფერფლება — ცეცხლი.

ყვავილობა

თუ დაუდარაჯდებით, ყვავილი შეიძლება თქვენ თვალწინ გადაიშალოს, მაგრამ თქვენ ამას მაინც ვერ დაინახავთ. უფრო სწორად — თითქმის ვერ დაინახავთ. კიდევ უფრო ზუსტად — ყვავილობისგან სიხარულის განცდა არ გეწვევათ.

სიხარული ის არის, საღამო ხანს მკვრივად შეკუმშულ კოკორს რომ იმედიანად შეეღიმილებით, დილით კი თქვენი თვალმიდევნების გარეშეც ამაღელვებლად გადაფურჩქნილი დაგხვდებათ.

თავათ საკოცნელი ქალები კი მშვენიერ, სათუთ ფურცლებს ბაგესაც შეახებენ.

ღამის მოძახილი

გაცარიელებულ ღამისეულ ქუჩაში მარტო დარჩენილმა დარდიმანდმა კაცმა ვიღაც უხილავი ადამიანი ხმამაღლა მთელი გულით დალოცა.

თუ ამ დროს მახლობელი ჩაბნელებული ფანჯრიდან ვინმე მაშვრალი იყურებოდა, ნაშუაღამევის გულიან მოძახილს შეიძლება თავის დალოცვადაც მიიღებდა.

ვისიმე ასე ალალბედზე დაგდებული ასეთი სიტყვა საერთოდ ყველა პატიოსან ადამიანს გულზე საამოდ ხვდება. პატიოსანი კაცი იმასაც იფიქრებს, რომ ასეთმა ტკბილმა და ალალმა, თუმცაღა უმისამართო კურთხევამ იქნებ ვინმე უგვანო პიროვნებაც კი აწ მაინც სიკეთის ქმნაზე დააფიქროს.

ნაღვლიანი მევიოლინე

მევიოლინე ფარღალალა აივნის ბოლოში მარტოკა ცხოვრობდა. ორმოცი წლისაც არ იყო, მაგრამ ბევრად მეტი ხნისად გამოიყურებოდა სახედალარული და ჩამომხმარი, აჯურდნულად ჩაცმული. თმას ლამის წლობით არ ისწორებდა და კიკინები ჩამოგრძელებოდა, თითქოს მეცხვარის ქუდი ეფხუტა. პირგაპარსული კი მუდამ იყო. ამას ალბათ ორკესტრში მკაცრად თხოვდნენ. ჩუმი და ნაღვლიანი, იგი მეტად ალერსიანი იყო მეზობლების ბავშვებისადმი, ამიტომ ძლიერ უყვარდათ პატარებსაც და კიდეც უთამაშდებოდნენ.

მევიოლინე შინ გვიან საღამოს ბრუნდებოდა თავისი გვარიანად აქერცლილი გრძელი ჩანთით, რომელშიც ვიოლინო ესვენა, და ჩაბნელებულ აივანზე ხან შეშის ნაჭერს წამოედებოდა, ხან ტაშტს ან აგურს. არ იქცეოდა, საკრავი არ უვარდებოდა, მაგრამ საბედისწეროდ ბორძიკობდა, კედლებსა და მოაჯირს ეხეთქებოდა.

ყოველი ხელფასის დღეს ონავრებისთვის საჩუქრები მოჰქონდა. განა იმიტომ, რომ იცოდა ამ ოინებს ისინი მიწყობენო, და მათს ეშმაკობას სიკეთეს უპირისპირებდა, — მას ვერც კი წარმოედგინა, რომ დაბრკოლებანი, რომლებიც სიბნელეში აივანზე ხვდებოდა, ბავშვების ოინი იყო.

ერთხელ ბავშვებმა საჩუქრები ზლუქუნით მიიღეს და უკანაც დაუბრუნეს: ან მშობლებს შეეჩვენებინათ კადნიერებისთვის, ან თვითონ ჩასწვდომოდნენ თავიანთ დანაშაულს და სინდისს გაექენჯნათ.

გულშეძრულმა მევიოლინემ გულამომჯდარი ბავშვები იმითღა დააწყნარა, რომ ყველანი თავის პატარა ოთახში შეუყუა და ვიოლინო დიდხანს გულმოდგინედ „ხერხა“.



„ჭაბუკები დარჩნენ მარად“

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ნიკა აგიაშვილის ცნობილი წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.

დღესაც დიდი მღელვარებით იკითხება ეს წიგნი, რომელიც უჩვეულო ბედისწერამ ნაადრევად მოიყვანა მკითხველამდე, ნაადრევად დააწერინა მათივე მეგობარ მწერალს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტებზე: ლადო ასათიანზე, ალექსანდრე საჯაიაზე, მირზა გელოვანსა თუ გიორგი ნაფეტვარიძეზე — მათზე, რომლებიც „ჭაბუკებად დარჩნენ“ და მათ მეგობრებზე, დღეს სიჭაბუკის ასაკს გადაცილებულნი რომ არიან.

წიგნის შესავალში ნიკა აგიაშვილი იხსენებს პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურის ხევსურეთიდან გამოგზავნილ წერილს: „...ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას და ამ ოციოდე წლის მანძილზე ჩვენგან ადრე წასულ და უდროოდ დაღუპულ სხვა ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთა დაუვიწყარი ხსოვნის წინაშე ყოველთვის მოწიწებით ქედს ვიდრეკთ მათი მეგობრები იმ ფიქრით, იმის ნატვრითა და ოცნებით, რომ — ჩვენი მწერლობის დამამშვენებლად და მთელი ქვეყნის სასიქადულოდ — ნეტავი ახლა ისინი ცოცხლები იყვნენ, და ჩვენ, თუნდაც, რამდენიმე წლის სიცოცხლე მოგვეკლებოდეს!.. როგორ მინდა, ვინმემ მოიგონოს ჩვენი ძმები, დაწეროს ჩვენი ახალგაზრდული თავგადასავალი; რა კარგი საქმე იქნებოდა ეს!“.. ამ წერილმა თუ შთააგონა, ან იქნებ, მხოლოდ დააჩქარებინა ავტორს დაეწერა მათზე წიგნი, რომელიც თაობების თვალწინ გააცოცხლებდა პოეტური მღელვარებით აღსავსე, დაუცხრომელ, მრავალფეროვნად ლამაზ და მშფოთვარე ახალგაზრდობის წლებს იმ ჭაბუკებისას, რომელთა სიმღერა დღესაც გაისმის ჩვენს შორის: „მოვკვდე ისე ღიმილმჩენი, ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად, რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ...“ წერდა მირზა გელოვანი.

წიგნის ხელმეორედ გამოცემა ჩვენი გამარჯვების ზეიმს დაემთხვა, რომელსაც ბევრი ომში წასული ახალგაზრდა პოეტი ვერ მოესწრო: მირზა გელოვანი, ვლადიმერ უბილავა, გიორგი ნაფეტვარიძე, ვაჟიკა ფხოველი... და რომელთა გვარებიც დღეს მწერალთა სასახლის წყაროს კედელს ამშვენებენ...

სწორედ ამ დღეებში მიიღებს წიგნს ათასობით დაინტერესებული მკითხველი, მომავალი თაობა, რომელსაც დღესაც მღელვარებით ჩაესმის ლადო ასათიანის წინასწარმეტყველური ლექსის ფრთიანი სტრიქონები:

„დაუკარით, რომ ჭაბუკნი
ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს
ვერ დაგვაბეროს!“

ია სვანიძე

დისკუსია ლიტერატურის ინსტიტუტში

4 დღეს გრძელდებოდა დისკუსია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც განიხილეს შარშანდელი წლის ლიტერატურულ-მეცნიერული შრომები და სტატიები. მოხსენებებით გამოვიდნენ აპ. ცანავა, ლ. შავგულიძე, რ. ჩხარტიშვილი, მ. გიგინეიშვილი, გ. იმედაშვილი, ვ. კავთიაშვილი, მ. ანთაძე, მ. აბულაძე, თ. ლომიძე და ბ. დობორჯგინიძე. მათ ილაპარაკეს ფოლკლორის, ტექსტოლოგიის, ჟურნალისტიკის, ძველი ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიის, ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა, საბჭოთა ლიტერატურის, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის საკითხებზე.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. მერკვილაძემ, მ. ჩიქოვანმა, ი. მეგრელიძემ, შ. გოზალიშვილმა, ს. ცაიშვილმა, გ. მიქაძემ, შ. ვაშაყმაძემ, შ. ჩიჩუამ, ნ. ჭოლოკავამ, დ. გოგოჭურმა, ს. თურნავამ, ნ. კილანავამ, ლ. ჭრელაშვილმა, გ. ზაუტაშვილმა და სხვ.

დისკუსია შეაჯამა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ.

თ ე ა ტ რ ი

„საქმე“

კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებულ თეატრალურ სახელოსნოში

მიხეილ კანთაძე

სპექტაკლი „საქმე“, ა. სუხოვო-კობილინის პიესის მიხედვით, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალურ სახელოსნოში დადგა ცნობილმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მიხეილ თუმანიშვილმა.

სპექტაკლზე საუბარი იმ ღრმა შთაბეჭდილებით უნდა დაიწყოს, რომელსაც „საქმე“ მაყურებელზე ახდენს და რომელსაც, ერთის მხრივ, ნაწარმოების უაღრესად დამაფიქრებელი, სერიოზული სათქმელი აღძრავს ჩვენში, მეორეს მხრივ კი რაფინირებული, მსუბუქი თხრობის მანერა, ნატიფი ემოციით გამსჭვალული ფორმა. მართალია, სპექტაკლი XIX საუკუნის ცხოვრებას ასახავს, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში, იგი მაინც აყენებს ნებისმიერი ეპოქისათვის აქტუალურ საკითხს — პატიოსნების და მტაცებლობის, სინდისიერებისა და ბიწიერების დაპირისპირებას. სპექტაკლი მომხდარისადმი აქტიურ დამოკიდებულებას იწვევს მაყურებელში და განსჯაში ეხმარება მას.

ა. სუხოვო-კობილინის დრამის სიუჟეტს მიხეილ თუმანიშვილმა ჩვეული ნოვატორული ოსტატობით შეასხა ხორცი სცენაზე, სიზუსტითა და ზომიერებით სრულყო შინაარსს მისადაგებული თეატრალური ფორმა, ორგანულად შეუთავსა ერთმანეთს ატრაქციონული სანახაობა და კლასიკური თეატრის ელემენტები. ასეთია ზოგადი აზრი, რომელიც პირველ შთაბეჭდილებას მოჰყვება და რომლის შემდეგაც შეიძლება გამოწვლილვით გავარჩიოთ, დავაცალკევოთ სპექტაკლის მხატვრული ქსოვილი შემადგენელ შრეებად, რათა მათი მხატვრული სინთეზის პრინციპი და ნაწარმოების მხატვრული კონცეფცია გავიაზროთ.

კლასიკურ დრამატურგიასთან შეხვედრა მუდამ ორმხრივ საშიშროებას უქმნის რეჟისორს — ერთის მხრივ ახლებური გადააზრება საჭირო, მეორეს მხრივ პირველწყაროსგან მოწყვეტაც არ არის სასურველი. მიხეილ თუმანიშვილმა ამ თვალსაზრისით ზუსტი შუალედი მონახა: შეინარჩუნა პიესის დედააზრი, პათოსი და ამასთან პირქუშ განწყობილებას მსუბუქი შეუნაცვლა, დრამას — გროტესკი, რითაც მეტი განზოგადება შესძინა დრამატურგიულ კონცეფციას. ამის მისაღწევად, რეჟისორმა პირველ რიგში რამდენადმე შეამცირა პიესა და დინამიური გახადა.

მიხეილ თუმანიშვილის ინტერპრეტაციით „საქმე“ გროტესკულ დრამად წარმოგვიდგა. პირველწყაროსთან შედარებით სპექტაკლში ბევრად იმატა კომიკურობამ. პიესის ნატურალური გამომსახველობა რეჟისორმა პირობით-თეატრალური სანახაობით შეცვალა. ამ ჟანრობრივი ოპერაციის შედეგად სპექტაკლმა მიმზიდველი, წარმტაცი ელფერი შეიძინა. „საქმე“ ოსტატურად აკინძული დღესასწაულია, ატრაქციონული ხასიათის ზეიმი, რომლის ცქერაც წამითაც არ ბეზრდება მაყურებელს. პირობითობის გაზრდით რეჟისორმა ერთის მხრივ მეტი ზოგადობა შესძინა ნაწარმოებს, მეორეს მხრივ დისტანცია შექმნა მაყურებელსა და სპექტაკლის შინაარსს შორის, უშუალო თანაგანცდის ნაცვლად ერთგვარად გვერდიდან დაგვანახა სცენაზე მომხდარი, დაგვაშორა, რათა უფრო ღრმად და ახლოს მივეყვანეთ საქმის არსთან.

ამ მიზნით სპექტაკლში შეყვანილია მთხრობელი-კლოუნი. სწორედ ეს სასაცილო, გარეგნულად მუდამ მხიარული კაცუნა გვიამბობს ამბავს და საქმის ვითარებას გვაცნობს. იგი მოქმედების მსვლელობაში განუწყვეტლივ ტრიალებს სცენაზე, აქცენტებს უკეთებს გარკვეულ მოვლენებს და ავტორისეულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლოუნის ატირების სცენა, როდესაც მთხრობელი პეშვში დაგროვილ ცრემლებს აუდიტორიას გადააფრქვევს. მთხრობელი მაყურებლისა და პერსონაჟების დამაკავშირებელია. მას მხოლოდ ჩვენ ვხედავთ, პიესის გმირები კი არა, იგი ერთადერთი მოქმედი პირია, რომელიც არ იცავს სასცენო პირობითობას, არ გადის კარებში, თავისუფლად ძვრება ტიხარს უკან — ყოველივე ეს გამუდმებით გვახსენებს, რომ „საქმეს“ სწორედ ეს კლოუნი გვიამბობს, რითაც სპექტაკლის გროტესკულ-ატრაქციონული გადაწყვეტა გამართლებულია. აღსანიშნავია, რომ კლოუნის ტექსტად, რომელიც თავისთავად პიესაში არ არსებობდა, რეჟისორმა მოხერხებულად გამოიყენა ავტორისეული წინასიტყვაობა, მოქმედ პირთა დახასიათება, რემარკები და პიესის გარკვეული მონაკვეთები. მთხრობელი-კლოუნი ყველაზე გამოკვეთილი პირობითი ელემენტია ამ სპექტაკლში.

სხვა პერსონაჟთა პირობითობის ხარისხი რეჟისორმა გარკვეული იერარქიული წყობით ააგო. საერთოდ სპექტაკლის არც ერთი გმირი არაა მოკლებული ხასიათების კარიკატურულ უტრირებასა და გაუცხოების მომენტს. მაგრამ ეს გადაწყვეტა მექანიკურად თანაბრად კი არ ვრცელდება ყველა პერსონაჟზე, არამედ მნიშვნელოვან აზრობრივ დატვირთვას შეიცავს. რაც უფრო მაღლა დგას საზოგადოებრივ სტრუქტურაში მოქმედი პირი, მით მეტად პირობითია, სქემატური და გაშარჟებული. ამ თვალსაზრისით „კერძო პირთა“ ანუ „არარაობათა“ სახეები ყველაზე ჩვეულებრივად, ადამიანურად გამოიყურებიან. ტარელკინიც რამდენადმე გარდასახვითი ხერხებით აგებული პერსონაჟია, ვარავინში უტრირება იმატებს, თავადი უკვე წმინდა კარიკატურული ტიპია, ამ იერარქიული კიბის მწვერვალზე მდგომი „განსაკუთრებული მნიშვნელობის პირი“ კი სრულიად მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულობას, ქმედების ლოგიკას და ცარიელ სქემად, ჩარჩოში ჩასმულ სურათად თუ პლაკატადაა ქცეული. პირობითობის ამ აღმასვლას აგვირგვინებს სრულიად არარეალური. პერსონაჟების — თვალახვეული თემიდების ქორო, რომლებიც ჩარჩოში ჩასმული დიდკაცის დირიჟორობით ჩინოვნიკებთან ერთად მღერიან იდილიურ სიმღერას. ეს სცენა ერთგვარი კულმინაციური წერტილია თვალახვეულ სამართალზე აგებული ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანის რეჟისორისეულ გამოხატვაში.

მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლში ორი მხატვრულ-შინაარსობრივი პლასტი იკითხება — კონკრეტულ-ეპოქალური და ზოგადი. დრამატურგიულ პირველწყაროში ორივე თანაბარმნიშვნელოვანია, მაგრამ მიხეილ თუმანიშვილის დადგმაში ძირითადი აქცენტი მაინც სიღრმითი, ზოგადი პლასტის წინ გამოტანაზეა დასმული. სწორედ ამ მიზნითაა სპექტაკლში გროტესკი და პირობითობა ესოდენ დიდი დოზით. მიუხედავად ამისა არც კონკრეტულ-ეპოქალური მხარეა მთლიანად უგულებელყოფილი, უბრალოდ იმ უსამართლობის სურათს, რომელიც დრამატურგმა თავის თანამედროვეობაში დაინახა და სრული სერიოზულობით აღწერა, ასზე მეტი წლის შემდეგ მეოცე საუკუნის შემოქმედმა ერთგვარად დისტანცირებულად შეხედა და ნება დაგვრთო მხიარული თვალითა და იუმორით გვენახა უკვე გარდასული ძნელბედობა.

სწორედ აქედან გამომდინარე, წინა პლანზე ნაწარმოების ზოგადი იდეა გამოდის და „საქმე“ საკაცობრიო სატკივარს შეეხება. ნებისმიერ დროს არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც სხვისი სიკეთის მისაკუთრების, წამგლეჯობისა და უპატიოსნო ხერხების გამოყენებით თავის რჩენა მიაჩნდათ არსებობისა და გამდიდრების საუკეთესო საშუალებად. სწორედ ამ საზოგადო სათქმელს გვეუბნებიან სპექტაკლის შემქმნელები. „საქმის“ მოქალაქეობრივი პათოსი მიმართულია საზოგადოდ კორუპციის, მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის და მსგავსი ნეგატიური მოვლენების, მათ შორის დღემდე ჩვენში შემორჩენილი საზოგადოებრივ მანკიერებათა წინააღმდეგაც.

ამ პოზიციით „საქმე“ ეხმაურება ჩვენს რესპუბლიკაში ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის ბრძოლას და მხარში უდგას ყველას, ვინც ნეგატიურ მოვლენებთან იბრძვის.

სპექტაკლში ცენტრალური სახე კანდიდ ტარელკინია. სწორედ მისი მოგონილია საქმე. ტარელკინი ის უმთავრესი, მცირე, მაგრამ აუცილებელი ერთეულია, რომელზეც უზარმაზარი ჩინოვნიკური მანქანაა აგებული. ეს არის ჩვეულებრივი მოკვდავი, უბრალო კაცი, რომელიც კეთილდღეობასა და წარმატებებისაკენ გზას მხოლოდ უპატიოსნებაში ხედავს და ამიტომ ჩაუკლავს თავის თავში სინდისიერება. ავანტიურისტობის გზაზე მდგარ ტარელკინს უნარი აქვს მოატყუოს მურომსკი, მაგრამ თავის მხრივ უფრო მარჯვე მძარცველის, ვარავინის მსხვერპლი ხდება. სწორედ მაშინ უჯანყდება ტარელკინი თავის ბედ-იღბალს, ჩივის უსამართლობაზე და პატიოსანი კაცის სახელით გამოდის. რასაკვირველია, ის რასაც ტარელკინი ფინალურ მონოლოგში ამბობს, მტკნარი სიცრუეა, მაგრამ იმდენად გულწრფელადაა სულიდან ამომხდარი, რომ თუ მთელი სპექტაკლის მანძილზე პერსონაჟს ზიზღით დასცინის მაყურებელი, საბოლოოდ იგი სიბრალულს იწვევს, სიბრალულს, მაგრამ არა თანაგრძნობას. ტარელკინი ერთადერთია, ვისაც აღარაფერი შერჩა საქმის შედეგად, არც პატიოსანი კაცის სახელი და არც სიმდიდრე. კანდიდ ტარელკინის სახე ტრაგიკომიკურად გადაწყვეტილი ხასიათის ერთი შესანიშნავი ნიმუშია. მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლში ტარელკინს ბრწყინვალე შემსრულებელი ჰყავს — ზურაბ ყიფშიძე. ახალგაზრდა მსახიობმა, რომელსაც მაყურებელი უკვე იცნობს რამდენიმე ფილმში შესრულებული როლით, სცენაზე სამსახიობო ოსტატობის მაღალი დონე და დიდი ნიჭიერება გამოამჟღავნა, ყველა, ვინც „საქმე“ ნახა, დაგვეთანხმება, ზურაბ ყიფშიძის ტარელკინი გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს. მის დასახასიათებლად, პირველ ყოვლისა, ისეთი ტრადიციული და ბოლო ხანს მივიწყებული ტერმინი უნდა მოვიხმოთ, როგორიცაა ტემპერამენტი, ის ტემპერამენტი, რომელიც ქართული სცენის ოსტატთა ერთ-ერთი უპირველესი თვისება იყო მუდამ. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს გარდასახვის დიდი უნარი და დახვეწილი პლასტიკა. ტარელკინის ფინალური მონოლოგი ზურაბ ყიფშიძის შესრულებით განსაცვიფრებელია, და მოულოდნელიც კია ახალგაზრდა მსახიობისაგან, რომელიც, როგორც იტყვიან „ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს და მომავალი წინ აქვს“. ტარელკინის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზურაბ ყიფშიძისაგან პერსპექტივაში დიდ წარმატებებს უნდა ელოდეს ქართული სამსახიობო ხელოვნება.

ახალგაზრდა მსახიობი „საქმეში“ ღირსეულ პარტნიორობას უწევს სცენის ისეთ ცნობილ ოსტატს, როგორიცაა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ეროსი მანჯგალაძე. მაყურებლის საყვარელი მსახიობის მიერ შესრულებული მურომსკი სპექტაკლის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ეროსი მანჯგალაძე სპეტაკი, გულუბრყვილო თავადის როლის განსახიერებისას ოსტატურად ათავსებს სცენიურ სიმართლესა და იუმორისტულ საღებავებს, მისი გმირი თანაგრძნობასაც იწვევს და სიცილსაც, იგი თან დაბნეული და სისულელემდე გულუბრყვილოა, თან ამაღელვებლად ალალმართალი, თან ძლიერია და თან უსუსური. მურომსკიმ ვერაფერი გაუგო თავს დამტყდარ უსამართლობას და ჩინოვნიკებისაგან გაყვლეფილი, მოტყუებული და განადგურებული მსხვერპლად შეეწირა თვალახვეული თემიდების დაუნდობლობას. დასამახსოვრებელია მურომსკის ტრაგიკომიკური ელფერით აღსავსე ამბოხის სცენა, რომელშიც ეროსი მანჯგალაძემ ჩვეული ოსტატობით დაგვანახა გამომძალველთა და ავაზაკთა ხელში ჩავარდნილი პატიოსანი კაცის ტრაგედია.

სპექტაკლში ატუევას როლს ასრულებს ცნობილი კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი დუდუხანა წეროძე, ნელკინის როლში წარმოგვიდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ივანე საყვარელიძე. გამოცდილ მსახიობებს პარტნიორობას ძირითადად ახალგაზრდა შემსრულებლები უწევენ. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია დარეჯან ხაჩიძე (კლოუნი-მთხრობელი), მურმან ჯინორია (ვარავინი), რეზო იმნაიშვილი (იგი ეროსი მანჯგალაძის შემცვლელია მურომსკის როლში), აგრეთვე დარეჯან ჯოჯუა (ლიდია), პაატა ბარათაშვილი (თავადი), თამაზ თოლორაია (სიდოროვი), ჟივეცი (ზ. მიქაშავიძე). ჩიბისოვი (ა. ამირანაშვილი), განსაკუთრებული მნიშვნელობის პირი (რ. ოსელიანი). თითოეულ ახალგაზრდა მსახიობს ზუსტად აქვს მიგნებული პერსონაჟის ადგილი სპექტაკლის მხატვრულ ქსოვილში და გამოხატვის ორიგინალურ ფორმაშია გადაწყვეტილი. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ კარგად ცნობილ ფაქტს, რომ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი უდიდეს ენერგიას ახმარს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ქართული სცენისათვის ახალი თაობების აღზრდას.

სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა (მხატვარი თინა გეინე) ლაკონურობით, გემოვნებითა და ზომიერებით გამოირჩევა. ზუსტადაა მოძებნილი შესაბამისი სტილი და განწყობილება, გაფორმება სპექტაკლის შემქმნელთა ჩანაფიქრით მიმართულია იმისაკენ, რომ სანახაობითი აქცენტები დეკორატიულ მხარეზე პრინციპულად არ გადატანილიყო. ერთგვარად „მოკრძალებული“ ხასიათის მხატვრობა სწორად თანხვდება ამ ჩანაფიქრს და ჩინებულ სამოქმედო არეს ქმნის. ხაზგასმით გვინდა გამოვყოთ მოქმედ პირთა კოსტუმებისა და გრიმის შესანიშნავი გადაწყვეტა. მკაფიოდ გამოკვეთილი გარეგნული პორტრეტები ხსნიან და ავლენენ პერსონაჟთა ხასიათებსა და შინაგან სამყაროს.

სპექტაკლის სანახაობრიობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპოზიტორ დათო ტურიაშვილის მუსიკა და ქორეოგრაფ იური ზარეცკის მიერ დადგმული ცეკვები.

აღსანიშნავია პიესის ქართული თარგმანის მაღალი დონე. ლაშა თაბუკაშვილი შემოქმედებითად, თავისუფალი თარგმანის პრინციპით მიუდგა ა. სუხოვო-კობილინის მეტად რთულ, მძიმე ენობრივ ქსოვილს და მოხდენილი ქართულით აამეტყველა „საქმის“ გმირები.

სპექტაკლი „საქმე“ უკანასკნელი წლების ქართული სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია. იგი გვარწმუნებს, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს სახით ხელოვნების სამსახურში ჩადგა კიდევ ერთი შესანიშნავი მაღალპროფესიული თეატრი, რომლისგანაც მაყურებელი კიდევ მრავალ ზეიმსა და დღესასწაულს უნდა მოელოდეს.

მამია დუდუჩავა



ქართულმა ფილოლოგიის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 69 წლისა გარდაიცვალა 1939 წლიდან სკკპ წევრი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერების და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამია იოსების ძე **დუდუჩავა**.

მ. დუდუჩავა იყო ფართო დიაპაზონის მკვლევარ-თეორეტიკოსი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად და უშრეტი შემოქმედებითი ენერგიით იკვლევდა ლიტერატურის თეორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის, ქართული მხატვრული კულტურისა და ესთეტიკური აზროვნების ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისა და კრიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს.

მ. დუდუჩავა დაიბადა 1911 წლის 14 აგვისტოს სოფელ საჭამიასერში (ჩოხატაურის რაიონი) რევოლუციონერი მუშის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქ. ქუთაისში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას საშუალო სკოლებში.

მ. დუდუჩავამ 1938 წელს მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1940 წელს კი მიენიჭა დოცენტის წოდება. მონოგრაფიისათვის „ი. ჭავჭავაძის ესთეტიკა“ მ. დუდუჩავას 1961 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1963 წელს — პროფესორის წოდება.

1943-45 წლებში მ. დუდუჩავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგეა. შემდეგ კი, 1948 წლამდე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი. 1948-52 წლებში იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორია. აქვე, 1969-77 წლებში მ. დუდუჩავა შეთავსებით მუშაობდა სახვითი ხელოვნების თეორიისა და ესთეტიკის კათედრის გამგედ, ხოლო 1977 წლიდან კათედრის პროფესორად.

1952 წლის სექტემბრიდან მ. დუდუჩავა იყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ერთი წლის შემდეგ კი იგი სათავეში ჩაუდგა ამავე ინსტიტუტში ახლად შექმნილ ლიტერატურის თეორიის განყოფილებას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

მ. დუდუჩავას მეცნიერულ-ორგანიზატორული და შემოქმედებითი უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა ლიტერატურის ინსტიტუტში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და ორჯერ გამოიცა „ლიტერატურის თეორიის საფუძვლები“, „ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა ლექსიკონი“, 12 კრებული — „ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები“, რომლებშიც მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიის, მრავალსაუკუნოვანი ქართული მხატვრული კულტურის ძირეული, კარდინალური საკითხებია შესწავლილი და გაშუქებული.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალფეროვანია მ. დუდუჩავას სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა. იგი 100-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, მათ შორის ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიისა.

მ. დუდუჩავა იყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული თეორიაში დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მსოფლიო მხატვრული კულტურის კომპლექსური შესწავლის კომისიის საქართველოს სექციის თავმჯდომარე.

მ. დუდუჩავას მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ცნობილი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, პარტიისა და ქვეყნის ერთგული შვილის, სპეტაკი პრინციპული ადამიანისა და გულისხმიერი მეგობრის მ. დუდუჩავას ნათელი სახელი და უანგარო ღვაწლი დიდხანს დარჩება ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; საქართველოს მხატვართა კავშირი; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

●

დღეს ჩვენ ვეთხოვებით ერთ-ერთ წარმომადგენელს ქართველ მოღვაწეთა იმ თაობისა, რომელმაც ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა ჩვენი ეროვნული მეცნიერებისათვის.

მამია დუდუჩავას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ლიტერატურის მეცნიერული თეორიული პრობლემების კვლევაში. მისი ინიციატივით დაარსდა ლიტერატურის თეორიის განყოფილება რუსთაველის ინსტიტუტში.

ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება კარგად იცნობს მამია დუდუჩავას უაღრესად საყურადღებო გამოკვლევებს დიდ ქართველ მწერალთა, — შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის შემოქმედების, აგრეთვე ესთეტიკისა, ხელოვნებათმცოდნეობისა და ლიტერატურის თეორიის საკვანძო საკითხებზე.

დღეს, როცა უმცროსი კოლეგები უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ, გვახსენდება ყველა ის სიკეთე, რაც მას გაუკეთებია ჩვენთვის...

მას დიდი ამაგი მიუძღვის საერთოდ ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის წინაშე, ამ ბოლო დროსაც ბევრი ახალი კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა მომავლისათვის,

ათი წლის წინ ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა მამია დუდუჩავას დაბადების 60 წლისთავი. სიტყვით გამოსულმა ორატორებმა — მოწინავე ქართველმა მეცნიერებმა გამოხატეს დიდი პატივისცემა იუბილარისადმი, დიდი აღიარება მისი მეცნიერული ნიჭისა და ერუდიციისა, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენ ვაპირებდით კიდევ უფრო ფართოდ აღგვენიშნა მისი იუბილე. იგი ხომ კიდევ მრავალი ნაშრომით, წიგნით, გამოკვლევით უნდა შეხვედროდა ამ საბედნიერო თარიღს.

მაგრამ ყველასათვის სამწუხაროდ მას ეს აღარ დასცალდა.

სამუდამოდ შეჩერდა გულისცემა კაცისა, რომელიც გამუდმებით ქვეყნის წინსვლასა და დაწინაურებაზე, მეგობრების და მახლობლების სიკეთესა და ბედნიერებაზე ზრუნავდა და ფიქრობდა.

მშვიდობით, ბატონო მამია.

ნოდარ ჭოლოკავა

შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან

ამას წინათ თბილისის ახლადშექმნილ გლდანის რაიონის მცხოვრებლებმა შეხვედრა მოუწყვეს ახალგაზრდა მწერლებს: ალუდა ყარაბულს, ავთანდილ მეგრელიშვილს, შარლოტა კვანტალიანს, ზაზა ქინქლაძეს, ამირან კალაძეს, იმედო ჯახუას, მურად ნებიერიძეს და ავთანდილ ჩხაიძეს.

შეხვედრა გახსნა კინოთეატრ „მეგობრობის“ დირექტორმა გური გამრეკლიძემ.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ გლდანის დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლერი პაქსაშვილი, მწერლები გოდერძი ჭეიშვილი და ჯანრი გოგეშვილი.

„ივერია“ — ეს სახელი დაარქვეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ლიტერატურულ კლუბს, რომელიც იმ დღეს დაარსდა, მას შეფობას გაუწევს კინოთეატრი „მეგობრობა“ და გლდანის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

მსახიობებმა წაიკითხეს შეხვედრის მონაწილეთა ლექსები. დასასრულს პოეტებმა ახალი ლექსები გააცნეს მსმენელებს, ილაპარაკეს შემოქმედებითს გეგმებზე.

მეგობრის ხსოვნას

გარდაიცვალა ნიჭიერი შემოქმედი — დრამატურგი, კინოსცენარისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ებრალიძე. წავიდა ჩვენგან ჩვენი დიდი მეგობარი, დახვეწილი ინტელიგენტი, საქვეყნო საქმისთვის მუდამ ფიცხად შემართული ჯამულიშვილი. სამარადჟამოდ დაგვაკლდა მისი კაცური წარმოსადეგობა, თავშეკავებულობა, ხაზგაუსმელი და ძალდაუტანებელი ზრუნვა მოყვასისადმი, მისი მშვიდი, ჭკვიანური მზერა და სიკეთით აღსავსე ღიმილი. დააკლდა იგი ქართულ კულტურას, ქართულ ყოფას, ქართულ ხასიათს.

59 წელიწადი იცოცხლა, ბევრი გააკეთა და კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „თანამედროვე ტრაგედია“ (დაიდგა რუსთაველის სახელობის, მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის, კიევის, დნეპროპეტროვსკისა და საარბრიუკენის თეატრებში); „მისი უდიდებულესობა“ (სიკო დოლიძესთან ერთად, დაიდგა რუსთაველის სახ. თეატრში); „ნანა“ (მარჯანიშვილის სახ. თეატრი); „ჩამოდი ჩემთან“, „მე გაზაფხულზე მომკლეს“, „მეგობრები“ და სხვა.

რევაზ ებრალიძე ასევე დიდი სიყვარულით მუშაობდა კინოდრამატურგიაშიც. მისი სცენარების მიხედვით შექმნილია ფილმები: „უდიპლომო სასიძო“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „ქალაქი ადრე იღვიძებს“, „ზოია რუხაძე“, „გაქცევა გათენებისას“, „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“. ეს-ესაა წარმოებაში ჩაეშვა მშვენიერი სცენარი „როგორ ვიცხოვრო უშენოდ“.

სცენარისათვის, რომელიც საფუძვლად დაედო კინოფილმს „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“, რ. ებრალიძეს მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის კულტურის დამსახურებულ მუშაკის წოდება.

იყო სსრკ მწერალთა კავშირისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.

ბოლო წლებში, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, მსახურობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოდრამატურგთა გაერთიანებაში. ეს გაერთიანება ძვირფასი იყო მისთვის, ძვირფასი იყო იგი გაერთიანებისთვისაც. თავისი ფართო ერუდიციით, დახვეწილი გემოვნებით და გონებამახვილობით დიდად კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა განსაკუთრებით ახალგაზრდა კინოდრამატურგებზე. ჰქონდა მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, მრავალი სანუკვარი მიზანი. ჯერ კიდევ პირველ გამოზაფხულზევე განზრახული ჰქონდა, მაისის ამ დღეებში ზღვის პირას წასვლა და იქ, როგორც იტყოდა, მამაპაპური მუშაობა. მაგრამ აღარაფერი აღარ დასცალდა, დაღლილმა სამუდამოდ მიიძინა. ყველას შემწეს და ყველასთვის მზრუნველს, ვერაფერი უშველეს მისი მოსიყვარული გულით დიდად დავალებულმა მრავალრიცხოვანმა მეგობრებმა, ახლობლებმა. წავიდა იგი ჩვენგან მაინც უსაყვედუროდ, უთქმელად და საუკუნოდ მიებარა მაისის მზით გამთბარ თბილისის მიწას, რომელიც მას ასე ძალიან უყვარდა.

თენგიზ აბულაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ გვეტაძე, აკაკი დვალიშვილი, სიკო დოლიძე, ნოდარ დუმბაძე, რეზო თაბუკაშვილი, რეზო ინანიშვილი, ვალიკო კვაჭაძე, ვახტანგ კუპრავა, ოთარ ლითანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, გუგული მგელაძე, სულიკო ჟღენტი, ანზორ სალუქვაძე, ვახტანგ ქავთარაძე, ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჩხეიძე, დავით ჩხიკვიშვილი, აკაკი ძიძიგური, რეზო ჭეიშვილი, ჟოლა ჭყონია, აკაკი ხინთიბიძე.

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

გარდაიცვალა ფაშა ციციაშვილი, ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი კეთილსინდისიერი ლიტერატორი და მოკრძალებული პიროვნება.

ფ. ციციაშვილი ქართული მწერლობის იმ თაობას განეკუთვნებოდა, რომელიც 60-იანი წლების დამდეგს იწყებს ლიტერატურულ ცხოვრებას. ამ თაობაში კი იგი ერთი იმათგანი იყო, ვისი ნიჭიც ამოიცნო და წაათამამა სიმონ ჩიქოვანმა. სწორედ „მნათობის“ ფურცლებზე იდგამდა იგი ფეხს. შემდეგ ეს ლიტერატურული ცხოვრება „ცისკრის“ ფურცლებზე გრძელდებოდა.

იგი სულით ხორცამდე ქართული კულტურის შვილი იყო, ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი, მასზე შეყვარებული და მიაჩნდა, რომ ქართული პოეზიის მიერ მოპოვებული მაღალი ლიტერატურული დონისადმი გაუფრთხილებლობა, უკადრისი საქმეა ღირსეული კაცისათვის.

იმ წლების „ცისკრისა“ თუ „მნათობის“ მკითხველთათვის ცნობილი იყო ფ. ციციაშვილის ლიტერატურული აზროვნების თავისებურება. ამიტომაც იგი ხშირი სტუმარი იყო ამ ჟურნალების კრიტიკის თუ ბიბლიოგრაფიის განყოფილებებისა, რომლებშიც ზოგჯერ საკუთარი გვარით, ზოგჯერ ფსევდონიმით ათავსებდა ლიტერატურულ წერილებსა თუ რეცენზიებს.

იგი გახლდათ მეუღლე ჩვენი პოეტი ქალის ნელი გაბრიჩიძისა, და აღმზრდელი ორი შვილისა, რომლებიც ფაშას მეგობრებთან, მის ახლობლებთან ერთად შეინახავენ მის ხსოვნას.

ჭაბუა ამირეჯიბი, ჯემალ აჯიაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, კარლო კობერიძე, გია მარგველაშვილი, სულხან ქეთელაური, ბესიკ ხარანაული.

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 03652